მაცნე
სამტრედიის

გაზეთი გამოდის
1930 წლის 5
ნოემბრიდან

samtrediismacne @ mail.ru

N13 (9193) 11 მაისი . 2016 წელი ფასი 50 თეთრი

ძველი პასუხი ძველ კითხვაზე სამი თვის ბიუჯეტით

2

საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის, ილია II-ის საალდგომო ეპისტოლე

6

4

"... შენი გულის ძგერა ვიგრძენ" ყვავილზე ქართულ ქალაქში

"მაისში გაიხარეთ, ვიქცევით ბარტიად თუ ლავრჩებით ფონდად"

"გაკეთებას ვინ ჩოვის, დანგრევაზეა ლაჰარაკი"

5

ლიმონიანი პამლოამენტში ლელო კვლავ გასატანია

"წერე პოეტო, უფრო თამამად შემოუქანე მარადისობას"

ოტნე შენგელია _ მსოფლიო ჩემპიონი

"არ ვენდობით გარემოს ეროვნული საგენტოს დასკვნას"

სხდომა მუხლობრივი გადანაცვლებებით

თეა ბაბუნაშვილი

უდიდესი ქრისტიანული დღესასწაულის მილოცვა პირველივე ჟესტი გახლდათ ნაადგომევს გამართულ სხდომაზე ადგილობრივ საკრებულოში. დღის წესრიგის ჩამონათვალით თუ ვემსჯელებდით, მწვავე დაპირისპირებას ადგილი არ უნდა ჰქონოდა მუშაობის მსვლელობისას. თუ ბოლო საკითხს არ ჩავთვლით, სხდომაც ხმაურიანი არ გახლდათ. სანამ ბოლომდე ჩავალთ, პირველიდან დავიწყოთ: მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის ბიუჯეტში მუხლობრივი გადანაცვლებით ფინანსების გამოთავისუფლების აუცილებლობა, მისი საიუბილეო თარიღის აღსანიშნავად გახდა საჭირო. რამდენიმე დღეში მას 80 წელი უსრულდება და არაერთი გრანდიოზული ღონისძიება აქვთ მის მესვეურებს დაგეგმილი. ამასთან ერთად გაიხსნება მხარეთმცოდნეობის მუზეუმიც.

რამდენიმე კითხვა ფრაქცია "რესპუბლიკელების" თავმჯდომარეს და ოპოზიციურ სპექტრს "გამწვანებისა და კეთილმოწყობის გაერთიანების" ხელმძღვანელ ელგუჯა კალაძესთან ჰქონდა. ახლად შექმნილი სამსახური მალე დაიხვეწება. სამთვიანი ხელშეკრულებები დავდეთ თანამშრომლებთან. ეს პირველ ეტაპზე. არავის განთავისუფლებას არ ვაპირებთ, სავარაუდოდ, მხოლოდ სტრუქტურული ცვლილებები განხორციელდება. ვფიქრობ, სეზონური მუშები არ უნდა არსებობდნენ, მუდმივ შტატად უნდა იქცეს ამგვარი შტატი, რადგან საქმე ქალაქში ბევრია." _ პასუხობდა დაინტერესებულთა კითხვებს ელგუჯა კალაძე. იმედა გოგავამ მას წლევანდელი ზამთრის პირველი თოვლი შეახსენა, როცა ქალაქში გავლა შეუძლებელი იყო.

სამტრედიის მუნიციპალიტეტის ბიბლიოთეკის ბიუჯეტში ცვლილება წიგნების შესაძენად გამოსაძებნი თანხის გამო შეიტანეს.

რაც შეეხება "სახლ თანადგომას", წამყვანი სპეციალისტის ერთი შტატი უფროს სპეციალისტად გადაკეთდა. ფინანსურად არაფერი შეცვლილა.

რადგან ელექტროენერგიისათვის ბიუჯეტით გათვალისწინებული თანხის ყოველთვიური განაკვეთი ბევრად აღემატება მოხმარებულს, სამხატვრო სკოლა-გალერეას ბიუჯეტში მუხლობრივი გადანაცვლება მოხდა.

როგორც სპორტული კომპლექს "სამტრედიას" ხელმძღვანელმა ლექსო სტურუამ აღნიშნა, სეზონი სპორტკომპლექსში 15 მაისიდან დაიწყება. მიუხედავად იმისა, რომ მზად არიან, სრული დატვირთვით არ მუშაობენ. ტარიფი წელსაც იგივე რჩება. საუბარი ზამთრის სეზონისთვის ჰელიო სისტემის დამონტაჟებასაც შეეხო. მტკივნეული თემა საფეხბურთო ტრიბუნაზე დამტვრეული სკამები გახლდათ, რომელიც ახლით მალევე შეიცვლება.

საფინანსო კომისიის თავმჯდომარის, შალვა არზუმანიანის შემდეგ, ტრიბუნა ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარეს, მერაბ უღრელიძეს დაეთმო. მან მელაურში რამდენიმე პირის საკუთარი სახლისა და სამტრედიაში, რუსთაველის ქუჩა N4-ში მდებარე საერთო საცხოვრებელი სახლის ნუმერაციის საკითხზე ისაუბრა.

აზა მელქაძის ადმინისტრაციული საჩივარი წინა რამდენიმე სხდომაზე ხმაურის მიზეზი გახდა. გამონაკლისი არც ეს სხდომა გახლდათ, რადგან დღის წესრიგის ბოლო საკითხად სწორედ მისი განუხილველად დატოვება იყო გამოტანილი. მომჩივანი მხარე საკრებულოს გადაწყვეტილებით ამჯერადაც უკმაყოფილო დარჩა. სხდომაზე კი როგორც დეპუტატებმა, ისე სხდომის თავმჯდომარემ და იურიდიული კომისიის თავმჯდომარე მანანა სირბილაძემ, რომელმაც საკითხი გამოიტანა, არაერთგზის აღნიშნეს, რომ მასთან მიმართებაში რამენაირ უკანონობას ადგილი არ ჰქონია.

ძველი პასუხი ძველ კითხვაზე სამი თვის ბიუჯეტით

თეა ბაბუნაშვილი

კანონიც ითვალისწინებს და ასეც ხდება ხოლმე _ ადგილობრივი ბიუჯეტის პირველი კვარტლის მიმოხილვა, საკრებულოს სხდომაზე, საფინანსო კომისიის თავმჯდომარემ, შალვა არზუმანიანმა გააკეთა. საფინანსო სამსახურის ხელმძღვანელის, დავით ბაღდავაძის ხელმოწერილი დოკუმენტი რასაკვირველია, თავდაპირველად ბიუროზე იქნა განხილული. დღის წესრიგის ნუსხით წარმოდგენილ საკითხთა პროექტებს შორის სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტის სამი თვის შესრულების განხილვის შესახებ მონაცემები არ იყო. ოპოზიციამ მიზეზი იკითხა და განუმარტეს თუ შეახსენეს, რატომ არ იქნებოდა პროექტი ამ საკითხის შესახებ. მანანა სირბილაძე კი მამუკა ბიბილეიშვილს შეეპასუხა, ბიუროს სხდომას რომ დასწრებოდით, განხილვასაც შეესწრებოდითო. პასუხმაც არ დააყოვნა _ პროექტების გარეშეც შეგვიძლია კითხვის დასმა და სიტუაციაში გარკვევაო.

რაც შეეხება ბიუჯეტს, იგი 2016 წლისთვის 9944.2 ათას ლარს შეადგენდა. მასში სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული გრანტების ოდენობა _ 5588.6 ათას ლარს. აქედან გათანაბრებითი ტრანსფერი 5399.6 ათასი ლარია. დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად 189.0 ათასი ლარი გახლდათ განსაზღვრული. 2016 წლის თებერვალში ბიუჯეტში ექვსჯერ შევიდა ცვლილება და იგი 13991.1 ათასი ლარი გახდა. საქართველოს მთავრობის განკარგულებით, რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სამტრედიის მუნიციპალიტეტს ტრანსფერი 2369.8 ათასი, სოფლის მხარდამჭერი პროგრამის ფარგლებში კი 729.5 ათასი ლარი გამოეყო, ხოლო სტიქიის შედეგების სალიკვიდაციოდ 360.7 ათასი ლარი იქნა განსაზღვრული. სულ მისაღები გრანტების ოდენობამ 9048.6 ათასი ლარი შეადგინა.

ადგილობრივი შემოსავლები 4355.6 ათასი ლარით განისაზღვრა. მათ შორის, საგადასახადო შემოსავლები 2400.0 ათასი, არასაგადასახადო კი 1575.6 ათასი ლარით. არაფინანსური აქტივების კლება 380.0 ათასი ლარია.

ნაშთი 2016 წლის 1 იანვრისთვის ირიცხებოდა 805.8 ათასი, მათ შორის ცენტრალური ბიუჯეტიდან მიღებული გრანტები 316.4 ათასი ლარია. ბიუჯეტში ნაშთი განაწილებულია 586.9 ათასი ლარის ოდენობით.

ადგილობრივი ბიუჯეტის შემოსავალმა სამ თვეში შეადგინა 2506.7 ათასი ლარი, რაც წლიური გეგმის 17.9%-ია. საგადასახადო შემოსავალი 292.8 ათასი ლარია. მარტის თვის გეგმა 292.8 ათასი ლარი, ანუ 100.0%. "უნდა აღვნიშნოთ, რომ ბიუჯეტში დაფიქსირდა მეწარმე ფიზიკურ პირთა საქმიანობიდან მიღებული საშემოსავლო გადასახადი 165.1 ათასი ლარი. მიუხედავად ამისა, ცნობილია, რომ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის გადასახადიდან ძირითად გადამხდელად ითვლება შპს საქართველოს რკინიგზადან" მიღებული შემოსავალი, რომლის გადახდის ვადაა მიმდინარე წლის 15 ნოემბრამდე, ხოლო საწარმოთა ქონებიდან მისაღები შემოსავალი მიმდინარე წლის 15 ივლისამდე." _ ნათქვამია დოკუმენტში.

მარტში მიღებული გრანტები 1971.7 ათასი ლარია. მათ შორის გათანაბრებითი ტრანსფერი 1700.0 ათასი ლარი, დელეგირებული 44.1 ათასი ლარი, მთავრობის განკარგულებით გამოყოფილია 227.6 ათასი ლარი. სხვა არასაგადასახადო შემოსავლებმა 232 ათასი, ხოლო გეგმიურმა 231.6 ათასი ლარი შეადგინა, რაც 100.2%-ია.

არაფინანსური აქტივების კლების, ანუ პრივატიზაციის შედეგად 10.2 ათასი ლარით შეივსო ბიუჯეტი. გეგმა 9.9 ათასი ლარია. ანუ გეგმა 103.0 %-ით შესრულდა.

მარტის თვის ხარჯების საკასო შესრულება 2890.4 ათას ლარს შეადგენს, რაც წლიური გეგმის 20.6%-ია. წლიური გეგმა 13991.1 ათასი ლარი გახლავთ.

დოკუმენტში წარმოდგენილი იყო ხარჯები დარგების მიხედვით. წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების ხარჯი შეადგენს 581.0 ათას ლარს; თავდაცვა, საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება 23.5 ათას ლარს. ინფრასტრუქტურა-მშენებლობა, რეაბილიტაცია-ექსპლუატაციაში სულ გახარჯულია 797.8 ათასი ლარი.

"რესპუბლიკელმა" იმედა გოგავამ კიდევ ერთხელ დასვა ამ მოწვევის საკრებულოში აქილევსის ქუსლად ქცეული, არაერთხელ დასმული კითხვა _ ამგვარი ანგარიშის გასაკეთებლად რატომ არ მოდიოდა სხდომაზე მუნიციპალიტეტის გამგებელი და მისი პირველი მოადგილე, რამეთუ მათი მოვალეობაა ბიუჯეტის შესრულებაზე საკრებულოს წევრებთან საუბარი. პასუხი ძველ კითხვაზე ძველებური მიიღო: გამგებელი მოვა მაშინ, როცა მის მოსვლას კანონი და რეგლამენტი ითვალისწინებს. ამჯერად კი ოპოზიციის მიერ დასმულ კითხვებს კვლავ საფინანსო სამსახურის უფროსმა, დავით ბაღდავაძემ უპასუხა.

"კაკეთებას ჯინ ჩივის, დანგრევაზეა ლაჰარაკი"

ნინო ნანიტაშვილი

10 მაისს ხმაური იყო ნაჩხატაურის დასახლებაში. ამირან ბახტაძის ქუჩის მოსახლეობამ დილის საათებში უბნის ცენტრში შეკრება დაიწყო და საავტომობილო გზის გადათხრის პრეცედენტი გააპროტესტა. მოსახლეობის გაღიზიანება მათ დასახლებაში წინა დღით ტექნიკის გამოჩენას მოჰყვა. ამირან ბახტაძის ქუჩელებისათვის სწორედ იმ დღეს გახდა ცნობილი, რომ "ვიღაც-ვიღაცეები" გზის გაჭრის სამუშაოებს იწყებდნენ, რათა მიწაში დამარხული კანალიზაციის მილი ამოეღოთ.

ტექნიკას ქუჩის ბოლოს რამდენიმე მეტრ სიგრძეზე სამუშაოები უკვე ჩაეტარებინა. ადგილობრივებმა იქ მისულ ადამიანებს მილის ამოღება აღარ დაანებეს. მეორე დღეს კი დილით შეკრება დაიწყეს, დაუკავშირდნენ მედიისა და ხელისუფლების წარმომადგენლებს, რათა თავიანთი პროტესტი დაეფიქსირებინათ. როგორც "სამტრედიის მაცნესთან" კომენტარში შეკრებილებმა აღნიშნეს, მათთან შეხვედრაზე ხელისუფლება არ მოვიდა და არც რაიმე რეაგირება მოახდენს.

73 წლის გოგონა დოლიძე ამ უბანში დაბადებულ-გაზრდილია. ამბობს, რომ "9 მთავრობა" გამოიცვალა და მისი გზის გაკეთებას საშველი არ დაადგა. გაკეთებას ვინ ჩივის, ახლა არსებულის დანგრევაზეა ლაპარაკი: "ხომ ნახეთ, გზა რა დღეშია?! ვითხოვთ ამ გზის გაკეთებას. მკვდარი კინაღამ ჩაგვივარდა წყალში, გზაზე რომ მივასვენებდით, გაწვიმების შემთხვევაში საერთოდ ვეღარ გაივლი. 4 წელია, გვპირდებიან, გავაკეთებთ, გავაკეთებთო. მაგრამ _ არა. დღევანდელი პრობლემა ის არის, რომ კანალიზაციის მილის ამოღება დაიწყეს, იმსიგანე მილია, ადამიანი გავა შიგნით. გუშინ დაიწყეს მიწის ამოღება, რამაც მოსახლეობის გაღიზიანება გამოიწვია. მილი ხორცკომბინატი რომ იყო, იქამდე გადის. მთელი ქალაქის კანალიზაცია ამ მილით გადიოდა. ეს რომ ამოიღონ, გზა სულ დაგვენგრევა. ჩვენ იმედი არა გვაქვს ამ მილებს ამოიღებენ და გზას გაგვიკეთებენ, გვპირდებოდნენ გზას ბოლომდე გაგირემონტებთო. ახლა იმას ამბობენ, ჯერ მილებს ამოვიღებთ, გზას შემდეგ დავაგებთო".

9 მაისს სიტყვიერი დაპირისპირება მოჰყვა მოსახლეობასა და სამუშაოების შემსრულებლებს შორის, ადგილობრივების თქმით, წინააღმდეგობის გაწევას მოსულების მხრიდან დაშინება და მუქარა მოჰყვა, თუ ხელს შეგვიშლით, ყველას დაგიჭერთო. ამ შემთხვევას როლანდ კალანდაძე იხსენებს: "მილის წაღება თუ უნდათ მაგენს და წასაღებია იგი, ადგილობრივები ამოვიღებთ, ჩავაბარებთ და გზასაც ჩვენ დავაგებთ. არჩევნებამდე რომ დადიოდნენ და ხედავდნენ ბახტაძის ქუჩელების გაჭირვებას, გვეუბნებოდნენ, ჯერ არ მოვსულვართ და გზას როგორ გაგიკეთებთო. გავიდა 4 წელი, კაცშვილს არ გამოუხედავს აქეთკენ. ნაჩხატაური თუ არსებობს საერთოდ, არც იციან.

თუ ასე უნდათ, 100 მეტრი ამოიღონ, დააგონ გზის ის მონაკვეთი და მერე გააგრძელონ. ვერ ვენდობით. დარწმუნებული ვარ, ამოიღებენ ორმოებს და ისე მიგვიტოვებენ. ჩვენ ქალაქს მიგვაწერეს, სინამდვილეში აქეთ სოფელია, ყველა ოჯახს პირუტყვი, ღორი და წვრილფეხი ჰყავს, რომლებსაც ამოთხრილ ორმოებში ვერ ვიპატიებთ. მოვიდნენ და თუ ბიჭები არიან, ამოიღონ მილები. თავისას თუ გაიტანენ, მაგასაც ნახავენ. დაგიჭერთო, გვიძახიან, მთელ დასახლებას ხომ ვერ დაგვიჭერენ".

10 მაისს 50-ზე მეტი ადგილობრივი მოსახლე შვილებთან და შვილიშვილებთან ერთად გამოსულიყო გარეთ და დიდიან-პატარაიანად ეწინააღმდეგებოდა ამირან ბახტაძის ისედაც დანგრეული გზის გათხრის ფაქტს. თინათინ როხვაძის თქმით, უმუშევარი მოსახლეობა თავს შინაური პირუტყვითა და წვრილფეხით ირჩენს, გზებზე გაჩენილი ორმოები მათი დაზოცვითაც ემუქრება გლეხობას: "დაწყებულია მილების ამოღება, ზიანდება გზა. მოსახლეობამ რა ვქნათ? ახალგაზრდები გვყავს ოჯახებში, მომავალზე ვფიქრობთ, აქ გვინდა ცხოვრება, სხვაგან წასასვლელი არ გვაქვს. გათხრილ გზაზე პირუტყვი კი არა, ადამიანიც რომ ჩავარდეს, ისიც ვერ ამოვა. ეზოებიდან ხომ უნდა გამოვიდეს ხალხი, მეზობელთან დაკავშირება რა გზით მოხერხდება?"

ამირან ბახტაძის ქუჩელები სიტუაციაში გარკვევას ადგილობრივი ხელისუფლებიდან ითხოვენ და იმ ადამიანების წარმომავლობის დადგენას, ვინც გზის გაჭრისა და მილების ამოღების სამუშაოებს აწარმოებს. აინტერესებთ, გააჩნიათ, თუ არა მათ სათანადო დოკუმენტაცია და აღნიშნული სამუშაოებისათვის თავის დროზე იყო თუ არა გამოცხადებული ტენდერი. მოსახლეობას დაახლოებით აქვს წარმოდგენა იმის თაობაზე, რომ ამჟამად გაუქმებული საკანალიზაციო მილი, რომელიც ქალაქიდან მოდის და ამირან ბახტაძის ქუჩის გავლით მდინარე ცხენისწყალს უკავშირდება, სავარაუდოდ, ეკონომიკის სამინისტროს ბალანსზე უნდა იმყოფებოდეს და მასთან შეხებას უნებართვოდ უბრალო მოკვდავნი ვერ გაბედავდნენ.

"სამტრედიის მაცნე" იმავე დღეს დაუკავშირდა მუნიციპალიტეტის გამგებელს, აღმოჩნდა, რომ ვალერიანე ფოცხვერია კონკრეტულ ფაქტთან დაკავშირებით არანაირ ინფორმაციას არ ფლობს.

"ლენ ჰოშელი" და "ჟურავლი" გამარჯვების 71 წლისთავზე

თეა ბაბუნაშვილი

და ისე, როგორც მაშინ, გამარჯვებისას, ბედნიერები იყვნენ, პატარა ბიჭივით გვიცემსო გული, ამბობდნენ ცრემლმორეულები, რადგან იმ დღეს 9 მაისი იყო, თავად კი ამ დღის შემოქმედნი იყვნენ. მათ გასაგონად კი, ვინც ეჭვქვეშ აყენებს ამ გამარჯვების საქართველოსთან კავშირს, ამბობდნენ: "ეს ქარცეცხლით გავლილი ჩვენი ცხოვრებაა და ისინი შემოგვედავონ, ვინც მეტი გააკეთა ქვეყნისთვის."

დედის ძეგლთან, სადაც სამტრედიელები ყოველთვის მაშინ იკრიბებიან, როცა სამშობლოს, ვაჟკაცობის და გმირობის წინაშე იხრიან ქედს, დაღუპული ჯარისკაცების ხსოვნას პატივი მიაგეს და კიდევ ერთხელ მადლობა უთხრეს მათ, ვინც იმ დღეს ქარიშხლიანი წლების გახსენებით მემორიალთან ახალგაზრდობას იხსენებდა. დრომ წლები და მოვლენები მისებურად გადაახურდავა. ახლა სამამულოს აღარ უწოდებენ ომს, მათმა თაობამ სისხლით და ცრემლით, გამარჯვებით რომ დაასრულა. მაგრამ მათთვის, წელში მოხრილი, გაჭაღარავებული ერთ დროს ღიმილის ბიჭებისა და გოგოებისთვის იგი დღემდე მამულისთვის თავდადების სიმბოლოა. ამიტომაც ძალიან ამაყობდნენ რაიხსტაგზე დროშის ამფრიალებლის ქართული წარმოშობით. რასაც ერთნი ტრაგედიად თვლიან, მათთვის საამაყოა _ მეორე მსოფლიო ომში გმირული სულისკვეთების გამო, ყველაზე მეტი ქართველი დაიღუპა.

ფაშიზმზე გამარჯვების 71 წელს, მუნიციპალიტეტის გამგეობისა და საკრებულოს წარმომადგენლებმა, ადგილობრივმა ხელისუფლებამ თაიგულებით შეამკო ომში დაღუპულთა მემორიალი. იქვე პატარა კონცერტიც გაიმართა.

და რაც ყველამ ერთხმად აღნიშნა _ ისმოდა "დენ პობედი" წლების განმავლობაში საქართველოში აკრძალულ ენაზე. ამ სიმღერის მელოდიურობა ძალიან მონატრებიათ ქართველებს. გამგებელმა კი მომღერალ დავით კოპალეიშვილს მადლობაც გადაუხადა განცდით ნამღერი "ჟურავლისთვის."

ყველას გასაგონად კი, იმ ჭარმაგი მოხუცების მოსაფერებლად, მედლებით მკერდდამშვენებულები რომ შეიყარნენ მათთვის ყველაზე ბედნიერ დღეს, აღნიშნა: "ის ბერმუხები, რომლებიც ახლა ჩვენს გვერდით დგანან, იმ სამამულო ომის მონაწილეები არიან. ჩვენი რაიონი გამორჩეული იყო ამ თვალსაზრისით. რაოდენ სამწუხაროა, რომ მათგან მხოლოდ 18 ვაჟკაცი შემოგვრჩა. მინდა, კიდევ ერთხელ მოვიხადო ქედი მათ წინაშე და მივულოცო ფაშიზმზე გამარჯვების 71 წლისთავი."

"მე ვეტერანთა კავშირის მონაწილე გახლავართ. ვისურვებდი, ის 18 კაცი, დღეისათვის რომ არის დარჩენილი, გაისადაც ჩვენს გვერდით იყვნენ. ჯანმრთელობას ვუსურვებ მათ." _ ბრძანა რევაზ კანდელაკმა.

95 წელს მიღწეული და გადაცილებული მეორე მსოფლიო ომის 18 ვეტერანი, სახელმწიფოსა და ადგილობრივი მუნიციპალიტეტისგან იმ დღეს სოლიდური თანხით დაჯილდოვდა. სახელმწიფო ბიუჯეტიდან მათ 600, ადგილობრივი სახსრებით კი 400 ლარი გადაეცათ. გარდა ამისა, ადგილობრივი ძალებით 100 ლარის საკვები პროდუქტი დაურიგდათ. ყველა მათგან, ვინც დიდების მემორიალთან მისვლა ვერ შესძლო, მუნიციპალიტეტის გამგებელი, საკრებულოს თავმჯდომარე და სხვა პასუხისმგებელი პირები სახლში ეწვივნენ ძღვენის გადასაცემად.

"არ ვენდობით გარემოს ეროვნული სააგენტოს დასკვნას"

ნინო ნანიტაშვილი

27 აპრილის საკრებულოს სხდომის დატოვების შემდეგ ფრაქცია "ნაციონალური მოძრაობის" 4 წევრი პირდაპირ აქციაზე გაემართა, რომელიც ვაზისუბანში სამი დღის განმავლობაში მიმდინარეობდა.

"სამტრედიის მაცნეს" მკითხველს შევახსენებ, რომ 27 აპრილის საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის დამტკიცების შემდეგ, საკრებულოს თავმჯდომარისა და უმრავლესობის წევრების მხრიდან წინააღმდეგობის გაწევის მიუხედავად, მამუკა ბიბილეიშვილმა მაინც გააკეთა განცხადება, რომლითაც მან ადგილობრივი ხელისუფლება მოშიმშილეთა მიმართ გულგრილობაში და ვაზისუბნის მოსახლეობის პრობლემის უგულვებელყოფაში დაადანაშაულა. იქვე ბიბილეიშვილმა საკრებულოს წევრებს მოუწოდა, მხარი დაეჭირათ ტოლების თემის მოსახლეობისთვის, რომ პრობლემა მათ სასარგებლოდ გადაწყვეტილიყო.

ამ განცხადების შემდეგ "ნაციონალებმა" სხდომა დატოვეს და ბუნებრივია, ის კომენტარიც ვერ მოისმინეს, რაც მათ საპასუხოდ იურიდიული კომისიის თავმჯდომარემ გააკეთა რომლის

შინაარსს მამუკა ბიბილეიშვილი ფრაქციის სხვა წევრებთან ერთად გაზეთ "სამტრედიის მაცნეს" 28 აპრილის ნომერში დაბეჭდილი სტატიის მეშვეობით გაეცნო. ოპოზიციური პარტიის ერთ-ერთი წევრისთვის მიუღებელი აღმოჩნდა მანანა სირბილაძისეული შეფასება. უფრო მეტიც, მამუკა ბიბილეიშვილი იურიდიული კომისიის თავმჯდომარის საგაზეთო კომენტარს უპასუხისმგებლოს უწოდებს:

"რომ მომცემოდა საშუალება, პირველ რიგში, საკრებულოს წევრებისთვის და იქ მყოფი საზოგადოებისთვის მინდოდა გამეცნო, თუ სოფელ ვაზისუბანში როგორ ვითარდებოდა მოვლენები, სანამ მოსახლეობა პროტესტის უკიდურეს ზომას _ შიმშილობას მიმართავდა.

ამ საკითხზე საუბარი, კერძოდ, მდინარე ხევისწყალზე კარიერის მოწყობა, ჯერ კიდევ 2013 წლიდან იყო დაწყებული, რაზეც მოსახლეობამ კატეგორიული უარი განაცხადა. მაშინ საკითხის შესწავლა, 2015 წლისგან განსხვავებით, მართლაც მოსახლეობასთან სრული შეთანხმებით მოხდა, რაზეც არსებობს ოქმი, ტოლების თემის მაშინდელი რწმუნებულის, ბორის ახალაძის მიერ შედგენილი. დღის წესრიგში მითითებული იყო კონკრეტულად მდინარე ხევისწყალზე ინერტული მასალის მოპოვების შესახებ თანხმობის მიცემა ან უარი.

ოქმშივე არის დაფიქსირებული მოსახლეობის პოზიცია კონკრეტული გვარ-სახელებით, რომლებიც კატეგორიული წინააღმდეგები არიან აღნიშნული კარიერის მოწყობის. ყოველივე ამის საფუძველზე გარემოს ეროვნულ სააგენტოში გადაიგზავნა სამტრედიის მუნიციპალიტეტის გამგეობის მხრიდან უარი კარიერის მოწყობაზე.

ტოლების თემის მოსახლეობა ამის შემდეგ უკვე დარწმუნებული იყო, რომ ამ საკითხზე საუბარი დასრულდა.

2013-ის შემდეგ 2015 წლის ზაფხულში ისევ გამოჩნდნენ კონკრეტული მსურველები კარიერის მოწყობის. საყურადღებოა ის, რომ ამ საკითხს მაშინ ეწინააღმდეგებოდა ტოლების თემის დეპუტატი საკრებულოში ილია მჟავია.

2015 წლის პირველ დეკემბერს გარემოს ეროვნული სააგენტოდან მუნიციპალიტეტის გამგებლის სახელზე შემოსული წერილი, რომელშიც ითხოვდნენ მდინარე ხევისწყალზე კარიერის მოწყობის შესახებ თანხმობას, გადაეწერა გამგებლის წარმომადგენელს ტოლების თემში ალექსი ბოცვაძეს. მან 2016 წლის 2 იანვარს თავი მოუყარა დაახლოებით 6 ადამიანს, შეცდომით გააცნო საკითხი, თითქოს მდინარე ხევისწყალზე ხდებოდა მდინარის გასწორხაზოვნება და დაახლოებით, 20 000 კუბური მეტრი ღორღის ამოღება ისევ ტოლების თემის გზის მოსწორებას მოხმარდებოდა. ხოლო რეალური ციფრის 490200 კუბური მეტრი ღორღის ამოღება მოსახლეობას დაუმალა. ამ შეხვედრის ბოლოს გაფორმდა დოკუმენტი, რომელსაც დაარქვეს ოქმი. მას ხელს აწერს კრების თავმჯდომარე ალექსი ბოცვაძე. ხოლო მეორე ხელმოწერა ეკუთვნის ავთანდილ ხუჭუას, რწმუნებულის აპარატის სპეციალისტს, რომელიც ამტკიცებს, რომ მართალია, შეხვედრაზე იყო, თუმცა ოქმზე ხელი არ მოუწერია. რაც იმას ნიშნავს, რომ დოკუმენტი გაყალბებულია.

ე. წ. ოქმის საფუძველზე მუნიციპალიტეტის გამგებელი გარემოს ეროვნულ სააგენტოს უგზავნის თანხმობას, რომ მუნიციპალიტეტის გამგებელი თანახმაა მდინარე ხევისწყალზე მოხდეს 490 200 კუბური მეტრი ღორღის ამოღება.

7 მარტს გარემოს ეროვნული სააგენტოს მიერ გამოცხადებულ აუქციონში გამარჯვებული ხდება 2016 წლის 2 მარტს დარეგისტრირებული შპს "ვაზისუბანი", რომელიც იურიდიულ პირად მხოლოდ 5 დღის წინ დარეგისტრირდა 23 მარტს შპს "ვაზისუბანი" ახდენს აუქციონით მიღებული წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გასხვისებას შპს-ზე "კორპორაცია სინოჰიდროს ფილიალი საქართველოში".

საქმის შესახებ ინფორმაცია მოსახლეობამ ჯერ კიდევ აუქციონის დასრულებამდე მიიღო, რაზეც გააკეთა მიმართვა გარემოს ეროვნული სააგენტოს დირექტორის, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარისა და მუნიციპალიტეტის გამგებლის სახელზე. განცხადებას 613 ადამიანი აწერს ხელს, რომელშიც ითხოვდნენ გაუქმდეს 2016 წლის 7 მარტის აუქციონის შედეგები. წინააღმდეგ შემთხვევაში რადიკალური ზომების მიღებას აანონსებდნენ, რაშიც იგულისხმებოდა აქციების მოწყობა არა მარტო სოფლის ტერიტორიაზე, არამედ ცენტრალურ მაგისტრალზე.

მუნიციპალიტეტის გამგეობამ საკითხი კი არ შეისწავლა, პირიქით, მოსახლეობას არწმუნებდა, რომ კარიერის მოწყობა იყო მდინარისთვის სასარგებლო და აუცილებელი, რადგან მდინარე ხევისწყალს ჰქონდა ზედმეტი ნატანი, რომელიც აუცილებლად უნდა გატანილიყო. გააკეთეს მოსახლეობასთან რამდენიმე შეხვედრა, რაც ყოველთვის ხალხის მხრიდან წინააღმდეგობით მთავრდებოდა. გამგეობის წევრებთან ერთად ფირმის დაინტერესებული პირები მოსახლეობას დაჭერით ემუქრებოდნენ, რაშიც აქტიურად იყო ჩართული ტოლების დეპუტატი ილია მჟავია, რომელიც სახელმწიფო უშიშროებით აშინებდა თანასოფლელებს. ამის შესაბამისი ვიდეოკადრები არსებობს.

თქვენი გაზეთის წინა ნომერში მუნიციპალიტეტის გამგებელი იშველიებს დასკვნას, რომლის გარემოს ეროვნული სააგენტოს მიერ არის გაცემული, სადაც წერია, თითქოს მდინარის ნატანის საშუალოდ წლიური ჩამონადენი არის 458 000 კუბური მეტრი, რაც აბსურდია. ეს ჩვენი შეფასება არ გახლავთ, სპეციალისტებთან კონსულტაციები გავიარეთ და მათი დასკვნით, აღნიშნულ რაოდენობას გაცილებით დიდი მდინარეები ვერ უზრუნველყოფენ. ამდენად, არ ვენდობით გარემოს ეროვნული სააგენტოს დასკვნას. 490 200 კუბური მეტრი ღორღის ამოღება მდინარიდან იქნებოდა ვაზისუბნისთვის, ტოლებისთვის, ნოღისთვის დამღუპველი. წინა წლებში ამ სოფლების მოსახლეობამ არაერთხელ განიცადა მდინარის მიერ მიყენებული ზარალი, წარმეულ მიწებს ვგულისხმობ.

შიმშილობის აქციამ ნაყოფი გამოიღო, სამუშაოები ამჟამად შეჩერებულია. მიდის კონსულტაციები მოსახლეობასთან, გამგებელი, ჩემის აზრით, მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ინერტული მასალის ამოღება კონკრეტულ ტერიტორიებს დააზიანებს და როგორც ვიცი, წერილი აქვს გაგზავნილი ლიცენზიის შეჩერებაზე. რაც შეეხება ქალბატონი მანანას საგაზეთო კომენტარს, თითქოსდა, მოსახლეობის აქცია "ნაციონალების" პროვოცირებული იყო, მას მინდა ვუპასუხო: პარტია "ნაციონალური მოძრაობის" წევრები აღნიშნული საკითხის მოგვარებაში მას შემდეგ ჩაერთვნენ, როცა ადგილობრივებმა თავად მოითხოვეს ოპოზიციური პარტიის მხრიდან დახმარება, რადგან ხელისუფლებიდან ვერანაირი მხარდაჭერა ვერ მიიღეს. პირიქით, იღებდნენ მუქარებს. ის განცხადება, რომ თითქოს 600 ხელმოწერიდან რამდენიმე გაყალბებული იყო, ამით ადგილობრივი მთავრობა იგივე მოსახლეობას შეურაცხყოფას აყენებს და ეჭრდნობა ტოლების თემის მატყუარა დეპუტატს, რომელიც, ჩვენდა გასაკვირად, ეწინააღმდეგებოდა კარიერის ამოქმედებას, შემდეგ თავად გახდა მოსახლეობის დამრწმუნებელი, რომ ინერტული მასალის ამოღება ტოლების თემისთვის ზიანის მომტანი არ იქნებოდა.

ქალბატონ მანანას კიდევ ერთ სიცრუეში ვადანაშაულებ, თითქოს 7 მოშიმშილეს შორის 5 "ნაციონალი" და არავაზისუბნელი იყო. ვაცხადებ, რომ იმ პერიოდში 9 შიმშილობდა, 9-ვე ტოლების თემის მკვიდრი. მე ამის დასტურად მათი პირადობის მოწმობებს და სახელსა და გვარს შემოგთავაზებთ: ანზორ მსხილაძე, ზვიად გეგუჩაძე, რეზო რუხაძე, ნესტორ ვაჩეიშვილი, ლევან დევაძე, გრამიტო მეფარიშვილი, ირაკლი უღრელიძე, გივი დევაძე.

ასეთი სახის განცხადებები, პირადად ქალბატონ მანანას ნამდვილად არ ეკადრება, რითაც იგი პრობლემას უგულვებელყოფს და ვაზისუბნის მოსახლეობას შეურაცხყოფას აყენებს, თითქოსდა, ეს ადამიანები პრობლემას ვერ აცნობიერებენ.

საყურადღებოა ის ფაქტიც, რომ ვაზისუბნელებს მარტო ჩვენი პარტიისთვის არ მოუმართავთ, მათ სხვა პოლიტიკურ პარტიებს მოუწოდეს, თუმცა მათ გვერდით მხოლოდ ჩვენ აღმოვჩნდით."

"... შენი გულის ძგერა ვიგრძენ" ყველაზე ქართული ქალაქში

თეა ბაბუნაშვილი

წელს აღდგომის ბრწყინვალე შვიდეულში მოუწია საქართველოს მეორე დედაქალაქად წოდებული უძველეს ქალაქს გვირილობის დღესასწაულის გამართვა. ორმაისობა საზეიმო კვირეულად იქცა, რადგან უდიდესი ქრისტიანული დღესასწაულის, აღდგომის პირველ მაისს აღნიშვნის გამო, ორი მაისი ხსოვნის დღედ დაემთხვა გვირილობას.

მაისის ოთხში მუხნარის ტყეში წელსაც გაიშალა სუფრები ორმაისობის აღსანიშნავად. ხოტბის შესასხმელად ისევ მოიყარა თავი და საგსე ფიალით, ლექსით, სიმღერით, ცეკვით, ცალკეული რაიონის კოლორიტის წარმოდგენით, ისევ სადღეგრძელოდ დაილია ქუთაისის სიყვარული იმერეთში.

სანამ თავსხმა წვიმა დაუშვებდა მუხნარის ტყეში, დღესასწაული ეშხში შედიოდა. სანახაობას აშკარად ეტყობოდა, გვირილობის ეს ერთი შემადგენელი ნაწილი, წინა წლებთან შედარებით უფრო გრანდიოზული და დახვეწილი რომ ხდება. თუ გასულ წლებში სამტრედია უპირობო ლიდერი გახლდათ, წელს არაერთი კონკურენტი რაიონი გამოუჩნდა. თუმცა, საუკეთესოებში ისევ ლიდერის პოზიცია ეჭირა გამგეობის კულტურის სამსახურისა და მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის მიერ მოწყობილ სანახაობას.

იმერული ყოფა სოფელ-ქალაქური პეიზაჟებით, არა ნახატი, არამედ ცოცხალი ნატურმორტებით, ეროვნულ ტანისამოსში გამოწყობილი მაშინდელი ევროპის სუნთქვაშერეული ბანოვანებით, სტუმარ-მასპინძლობით, ფინჯან ჩაისთან ბებთიან გიტარაზე დამღერებული "იმერეთში ეძახიან საპოვნელათი", გაშლილი ნარდით, განსაკუთრებით "გაპრანჭული", სამტრედიელობის სიმბოლოდ ქცეული ველოსიპედით, კოლორიტთან ახლის შერწყმის სასიამოვნო განცდას ქმნიდა. ველოსიპედი ვახსენეთ და, სამტრედიული "კვატიე ტყემალშიც" რა თქმა უნდა, არ აკლდა სუფრას. აიყოლა კიდეც ლამაზმა ხმებმა სიმღერაზე შეყვარებული იმერეთის გუბერნატორი. საიდუმლო არავისთვისაა, რომ გივი ჭიჭინაძე განსაკუთრებით შინაურულად თავს სწორედ სამტრედიელებთან გრძნობს. ასე იცის დედულეთში გატარებული ბავშვობის მოგონებებმა.

და აქვე, აქ ლხინისა და კეთილდღეობის პარალელურად, მრავლად იყო ხელგაწვდილი სიღარიბეც "დამეხმარეთი" და გულის ტკივილით, რომ ან სულ არ შეგეძლო, ანაც ისე არ შეგეძლო დახმარება გამოწვდილი ხელისთვის, როგორც გული გაიმეტებდა. განსაკუთრებული დატვირთვა სახელდახელო სცენიდან ნათქვამმა დეკანოზი ექვთიმეს (ჩივაძის) სიტყვებმა შეიძინა: "ჩემო სამშობლოვ, შენ გეჭირს ახლა, როგორც უჭირდა მაცხოვარს ჯვარზე!"

და არა მარტო იგი. შარშანდელივით, წელსაც ფიალით დაილოცა პრინცი იოანე ხუან ბაგრატიონი, ბაგრატიონთა დინასტიის სამშობლოდან შორს გაზრდილი შთამომავალი. სამტრედია მისი მეუღლისთვისაც განსაკუთრებული ადგილია. ქრისტინე ძიძიგურის დედულეთი დიდი ჯიხაიშია. როგორც მან გვითხრა, პრინცი იოანი განსაკუთრებულად ელოდება ამ სოფელში სტუმრობას. "მას ყველაფერი მოსწონს ქართული, ყველა ტრადიციას და ჩვეულებას მისეულად თვლის. ევროპაში მხოლოდ განსაკუთრებული შემთხვევების დროს მივდივართ, აღარ უნდა გამუდმებით იქ ყოფნა. რაც შეეხება ღვინოს, არათუ ევროპულად სვამს, არამედ თავად დაიწყო მისი დაყენება და პოპულარიზაციას უწევს მას ევროპაში." _ ამბობს იოანე ბაგრატიონის ქუთაისელი მეუღლე ქრისტინე ძიძიგური. და იმასაც დასძენს, რომ "დიდი ჯიხაიში ნამდვილი იმერული სოფელია. ბავშვობაში ხშირად დავდიოდი იქ და მასთან მხოლოდ ბავშვობასავით ტკბილი მოგონებები მაკავშირებს." თავად იოანე ბაგრატიონმა იქვე კამათელიც გააგორა ნარდით მოთამაშე სამტრედიელებთან.

სტუმრები მრავლად იყვნენ იმ დღეს მუხნარის ტყეში. სამტრედიის კუთხის კრეატიულობით მოხიბლულებიც ბევრნი აღმოჩნდნენ. "პირველ რიგში აღდგომასა და ამ ლამაზ დღეს გილოცავთ. რა თქმა უნდა, მოხიბლული ვარ იმერული სტუმართმოყვარეობით და საერთოდ, იმერეთით. დადებითი ემოციებით დავიმუხტე. ბევრი ბედნიერი დღე გაგვითენოს ღმერთმა." _ ამბობდა თბილისის მუნიციპალიტეტის გარემოს დაცვის კომისიის თავმჯდომარე შორენა ბუხრაშვილი. "გილოცავთ! სიკეთედ დაებედოს ქუთაისსა და იმერეთს, მასთან ერთად მთელ საქართველოს ეს დღე!" _ დაამატა მის სიტყვებს თბილისის საკრებულოს სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის თავმჯდომარემ ლია ჯაყელაძემ.

კულტურის სამსახურის ორგანიზებით წარმოჩენილი სამტრედიის კუთხე ორიგინალობას არ თმობდა. სამსახურის უფროსი ნატალია მანჯგალაძე აღნიშნავდა, რომ "გუბერნიის მიერ დაგეგმილი ამ ღონისძიების ორგანიზება ცალკეულ მუნიციპალიტეტებს მიანდეს. სანახაობრივი და კულტურული რესურსების მოძიება სამტრედიაში არ გაგვჭირვებია. ეს ბუნებრივია. ღონისძიება ჩვენს სამსახურში დაიგეგმა და ადგილობრივი ხელისუფლების მხარდაჭერით განხორციელდა." წელსაც, ისევე როგორც წინა წლებში, სამტრედიული კოლორიტის წარმოჩენა ზედმიწევნით კარგად შესძლო მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლმა. ირინა ქორიძისა და ნატალია ჯიქიას შემოქმედება ბევრის ყურადღებას იქცევდა. მხატვრული ნამუშევრებისა და ნაქარგების გამოფენა თვალსაჩინო ადგილს იკავებდა. აქვე ერთი სამწუხარო მოგონებაც: გასულ წელს ამ მარათონში თავისი შემოქმედებით მხატვარი ჯემალ ტაბიძე მონაწილეობდა. წელს კი მისი ნამუშევრები მის გარეშე იყო წარმოდგენილი. მისი ტილოები ჰყვებოდნენ შემოქმედის ნიჭის უკვდავყოფაზე.

კარიკატურებით მხიარულ განწყობას აძლიერებდა ჩვენი გაზეთის კარიკატურისტი შოთა პაპავა. ეროვნული ფოლკლორის გარეშე, აბა, რა იქნებოდა ქუთაისიც და სამტრედიაც და ანსამბლ "სამტრედიას" ქართული მოძახილი მუხების ტოტებიდან სწვდებოდა ზეცას.

"ბაგრატოვანთა დინასტიის წმინდა ალავო, ო, ქუთაისო, შენი გულის ძგერა ვიგრძენი..." _ ემოციური გახლდათ ბექა თევზაძის წაკითხული ლექსი. და რა თქმა უნდა, შემთხვევითი არ იყო ბაგრატოვანთა დინასტიის ნავსაყუდელში იოანე ბაგრატიონის სტუმრობის განსაკუთრებულობა. იქნებ ამიტომაც, ლექსის პირველივე სტროფის გაგონებისთანავე, ლექსი შენზეაო, სწორედ იგი მოძებნა იმერეთის გუბერნატორმა. მერე კი ჟურნალისტებთან არაერთგზის ნათქვამი გაიმეორა: "სამტრედია ჩემი ბავშვობის მოგონებაა. აქ გავიზარდე და ძალიან მიყვარს ჩემი სოფელი, ჩემი სახლი. ქუთაისი კი, არა მხოლოდ იმერეთის, ჩვენი ქვეყნის გული და სულია. ქუთაისი ხალისია, ყველაზე ქართული ქალაქია, იმერეთი კი ყველაზე ქართული კუთხეა."

გუბერნატორს არაერთი უცხოელი სტუმარი ახლდა. ახლდნენ პარლამენტარები და რეგიონალური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრი ნოდარ ჯავახიშვილი. აღარაფერს ვემბობთ ქუთაისის მერიის წარმომადგენლებსა და ქალაქის მერ შოთა მურღულიაზე. იხუმრა კიდეც დეკანოზმა ექვთიმემ, რომელსაც დიდი მხიარულებით შეეგებნენ, გუბერნატორიც აქ არის, ქალაქის მერიც და "არხიელიც" აქ ყოფილაო.

დატვირთული საქმიანი განრიგის გამო იმ დღემ უგამგებელოდ ჩაიარა მუხრანის ტყეში, თუმცა, საკრებულოს თავმჯდომარით, მისი მოადგილით, გამგებლის მოადგილეებით, საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურით, ქალაქის მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელით, კულტურის სამსახურით და სხვა პასუხისმგებელი პირებით წარმოდგენილი ადგილობრივი ხელისუფლება კიდევ ერთხელ ულოცავდა ქუთაისსა და იმერეთს აღდგომასა და ბრწყინვალე შვიდეულს დამთხვეულ გვირილობას, სახალხო დღესასწაულად რომ აიტაცა საზოგადოებამ მისი დაარსების საჭიროებიდან გამომდინარე. "გიმნაზისტკების" კეთილი ზრახვები ჭლექით დაავადებულთა დასახმარებლად, გვირილების გაყიდვით შეგროვებული გროშებით, წლების შემდეგ "გვირილობად" ახსოვს ქუთაისს.

მაისის ქუთაისში მუხნარში ჩაკარგული ლხინი ძლიერ ქარად ქცეულმა იმერულმა სიომ თავსხმად გადაქცეული ჟუჟუნა წვიმით დაასრულა.

მუხნარის ტყის "სამტრედიაში" უცბად მოტეხილი ხის ტოტი იყო "არეულობის" პირველი შემომტანი.

მერე კი, მერე წვიმდა და წვიმდა თავგამეტებით და ხეების ქვეშ დარჩენილებმა თავი სწორედ იმ დიდ დაფას შეაფარეს, სამტრედია ლამაზი ასოებით რომ ეწერა. ესეც სიმბოლური იყო, ემოციებით დატვირთული ლამაზი დღის დასასრულად.

შპს "საგზაო მშენებლობა "აღტკომის" საქართველოს ფილიალის" ადმინისტრაციის

განცხადება

2016 წლის 4 ივლისს 14:00 საათზე, სამტრედიის მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციულ შენობაში (მისამართი: ქ. სამტრედია, რესპუბლიკის ქუჩა № 6), გაიმართება შპს "საგზაო მშენებლობა "ალტკომის" საქართველოს ფილიალის" ასფალტის საწარმოს მოწყობისა და ექსპლუატაციის პროექტის გარემოზე ზემოქმედების შეფასების (გზშ) ანგარიშის საჯარო განხილვა.

დაგეგმილი საქმიანობის დასახელება: ასფალტის წარმოება.

დაგეგმილი საქმიანობის განხორციელების ადგილი: ქ. სამტრედია, ს/კ 34.08.72.035.

საზოგადოების წარმომადგენლებს დაგეგმილ საქმიანობასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის გაცნობის საშუალება ექნებათ შემდეგ მისამართებზე:

სამტრედიის მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციულ შენობაში _ ქ. სამტრედია, რესპუბლიკის ქუჩა №6;

შპს "საგზაო მშენებლობა "ალტკომის" საქართველოს ფილიალის" ოფისში _ ქ. სამტრედია, რესპუბლიკის ქუჩა №8. ტელ.: (+995) 595-904-414;

შპს "ჯეოკონის" ოფისში _ ქ. თბილისი, კეკელიძის ქ. №62-74. ტელ.: (+995) 599-540-208.

საზოგადოების წარმომადგენელთა მოსაზრებების წარდგენის ბოლო ვადაა დაგეგმილი საქმიანობის შესახებ ინფორმაციის გამოქვეყნებიდან 45 დღე, მისამართზე: ქ. სამტრედია, რესპუბლიკის ქუჩა №8. საკონტაქტო პირი: კახაბერ გოგია, ტელ.: (+995) 595-904-414. ელ. ფოსტა: kgogia@mail.ru

ფილიალის დირექტორი ალექსანდრე ვალუკანი

"სახლი თანადგომა" სიცოცხლეს მიხანგრძლივებს"

ნინო ნანიტაშვილი

57 წლის დარეჯან სართანია, გახსნის დღიდან, უფასო სასადილოს ბენეფიციარია. ყოველდღიურ ლუკმას 9 წელია, სოციალური პროგრამის ფარგლებში იღებს და შესაბამისად, ბედსაც არ ემდურის. დროის ამ მონაკვეთში სხვადასხვაგვარ მომსახურებას სთავაზობენ და როგორც ქალბატონი დარეჯანი ამბობს, რაც მთავარია, სასადილოში სისუფთავე სუფევს: "უმადურობას ვერ გამოვიჩენ, ბოლო წლებია, გემრიელ საკვებს გვიმზადებენ. 2007 წლიდან ამ სასადილოს იმედზე ვარ. გაჭირვებული ადამიანისთვის დღეში ეს ერთჯერადი კვებაც სასიცოცხლო მნიშვნელობისაა. რაც ძალიან მომწონს, სისუფთავეა. მომსახურე პერსონალი კეთილსინდისიერად გვემსახურება. მათ თბილი დამოკიდებულება აქვთ ბენეფიციარებთან."

დარეჯან სართანიამ დიდ ხუთშაბათს 130 ბენეფიციართან ერთად ისადილა და სააღდგომო ამანათიც მიიღო. დაარსების დღიდან "სახლი თანადგომა" პროგრამის ფარგლებში თავის ბენეფიციარებს სააღდგომო ტრადიციულ ამანათებს უმზადებს, რაშიც შედის სამი ცალი პასკა, სანთელი, სამი ცალი კვერცხი და 300 გრამი კანფეტი.

უფასო სასადილოს მომსახურებით კმაყოფილია 73 წლის რაზმიგ მაროიანიც. მე-2 ჯგუფის ინვალიდი ეგრისის ქუჩიდან ყოველდღე, კვირის გარდა, სიხარულით მოიჩქარის კუთვნილი სადილის მისაღებად: "აქ რომ არ მკვებავდნენ, 73 წლამდე ვერ მივაღწევდი. ეპილეფსიით დაავადებული ვარ, ოჯახი ეკონომიურ გაჭირვებას განიცდის და "სახლი თანადგომას" მხრიდან მზრუნველობა სიცოცხლეს მიხანგრძლივებს".

3 ცალი კვერცხი და სამი ცალი პასკა, 300 გრამი კანფეტი სამყოფი რომ არ არის, რაზმიგ მაროიანმაც იცის, თუმცა, სააღდგომო ნობათში ჩალაგებული პროდუქტები მაინც სიხარულით მიიღო და იქვე დასძინა: "ვიცი ბევრი ოჯახი, ამასაც რომ ვერ ახერხებს".

სააღდგომო ნობათი ადგილობრივ ბიუჯეტს 900 ლარი დაუჯდა. ცალკეულ ბენეფიციარზე კი 6 ლარი და 90 თეთრი დაიხარჯა.

დირექტორი მზევინარ ბოხუა დარწმუნებულია, რომ სააღდგომო ამანათი საკმარისი არ არის, თუმცა, პროგრამა მეტ გასაქანს ვერ აძლევს: "უფასო სასადილომ წელსაც ტრადიციულად დაურიგა ბენეფიციარებს სააღდგომო ამანათი. სასურველია, ჩამონათვალში ყოფილიყო ხილი, ლიმონათი, რაც ძალიან უყვართ ჩვენი სასადილოს მოსარგებლეებს, მაგრამ ბიუჯეტი მეტ საშუალებას არ გვაძლევს. შევეცადეთ, დიდ ხუთშაბათს განსაკუთრებული კერძიც მოგვემზადებინა და ბენეფიციარები განსაკუთრებულ გარემოში გვესადილებინა. გვქონდა სკამების პრობლემა, რაც სააღდგომოდ გადავწყვიტეთ, შევიძინეთ რამდენიმე ახალი სკამიც, რაც მხედველობიდან არ გამორჩენიათ ჩვენს ბენეფიციარებს. დიდი სურვილი მაქვს, ამ ადამიანებს უკეთესი გარემო შევუქმნათ, რათა მარტოდ არ იგრძნონ თავი და ჰქონდეთ განცდა იმისა, რომ მათზე ზრუნავს სახელმწიფო. ვისარგებლებ შემთხვევით და "სამტრედიის მაცნეს" ფურცლებიდან ჩვენს ბენეფიციარებს აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულს მივულოცავ. მათ ჯანმრთელობას, წელთა სიმრავლეს და სიბერის ბედნიერ დღეებს ვუსურვებ".



ლიბერალური პარლამენტი
ლელო კვლავ გასატანია

ლევან გაბეჩავა

ვინ იცის იქნებ გაჩნდეს ისეთი ხელოვნება, რომელიც უსიტყვოდ, ხელების უქნევლად, მარტოოდენ მზერით გვაგრძნობინებს, რასაც ხალხი განიცდის.

<u>სტანისლავ ეჟი ლეცი</u>

ყოველი დღე გვაახლოებს საპარლამენტო არჩევნებთან, მიმდინარე წლის შემოდგომაზე რომ უნდა გაიმართოს.

ტემპერატურის მატებასთან ერთად პოლიტიკური კლიმატიც უმაღლეს ნიშნულს მიაღწევს უთუოდ და, არცაა გასაკვირი, რადგან იმაზე, რამდენად ობიექტურად ჩატარდება არჩევნები, ვინ, რა კატეგორიის ხალხი იქნება არჩეული სახელმწიფოს უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში, დიდადაა დამოკიდებული ქვეყნისა და ხალხის ბედი მომავალი ოთხი წლის მანძილზე.

რაკი ძველი თუ ახალჩამოყალიბებული პარტიები, პოლიტიკაში ნაწრთობი თუ ახალფეხადგმული პოლიტიკოსები მხოლოდ ოფიციოზის კრიტიკით ენამზიანობენ და გვარწმუნებენ, რომ მხოლოდ მათ შეუძლიათ ქვეყნის ხსნა, რაკი ასეთი დაპირებები უკვე მეოთხედი საუკუნეა, ყელში ამოუვიდა საზოგადოებას, არჩევნებისადმი, როგორც პოლიტიკური პროცესისადმი მასების ნდობაც რამდენადმე ნაკლებია.

როცა ამას ვამბობთ, არანაირ კვლევებს არ ვეყრდნობით ცხადია, და საზოგადოების არცთუ უინტელექტო ნაწილის აზრს გამოვხატავთ მხოლოდ.

აბსოლუტური დემოკრატია არასოდეს ყოფილა და არ გვგონია იყოს ოდესმე.

აბსოლუტურად ყველასთვის მოსაწონი ხელისუფლება, მმართველობის სტილი, მეთოდებიც შეუძლებელია არსებობდეს.

ყოველი ადამიანი ზეგანვითარებული ინდივიდია, განუსაზღვრელია მათი სურვილები, მოთხოვნილებები, მაგრამ უკეთესობის ნდომა-სურვილი და შესაძლებლობები არ უნდა სცილდებოდეს ერთმანეთს.

ცხადია, ამჟამად მოქმედი ხელისუფლება ოთხ წელიწადში ვერ მოახერხებდა ყველა იმ პრობლემის მოგვარებას, წლების კი არა, ორ-ნახევარი ათეული წლის მანძილზე რომ დაგროვდა ქვეყანაში, მაგრამ მეტის მოლოდინი რომ გვქონდა, ამის თქმის უფლებას ისევ მმართველი პოლიტიკური ძალის მიერ მონიჭებული გამოხატვის თავისუფლების უფლება გვაძლევს.

გვაძლევს და ჩვენც ვაღიარებთ.

წლების წინ წინასაარჩევნოდ, ლამის ეჭვშეუვალად ვრწმუნდებოდით იმაში, რომ საქართველოს თითოეული სოფელი, თითოეული ოჯახი ნამეტი პროდუქტის სარეალიზაციო პუნქტებისა და გასაღების სარფიანი ბაზრის პირობებში შვებას ნახავდა, მაგრამ...

მისასალმებელია და სიხარულითაც შეეხვდით ცნობას ქვეყანაში მეაბრეშუმეობის განვითარების აუცილებლობისა და ამ მიმართულებით მრავალათასიანი პროექტის განხორციელების შესახებ, მაგრამ ჩვენს მუნიციპალიტეტში, არც მეზობელ მუნიციპალიტეტებში ამ მხრივ ხელშესახები ჯერჯერობით არაფერი კეთდება.

ვერ ვფლობთ, მედია-საშუალებები ნაკლებად გვაუწყებენ ინფორმაციას კეთდება თუ არა რაიმე აბრეშუმის მურის (ჭიის) ერთადერთი საკვები კულტურის _ თუთის პლანტაციების გასაშენებლად.

გაზაფხულზე, როცა ხვნა-თესვის აქტიური კამპანია უნდა მიმდინარეობდეს, და პრესა, ტელევიზია, საინფორმაციო საშუალებები ამ მნიშვნელოვანი პროცესის მიმდინარეობას უნდა აშუქებდეს, ხალხის გონება, აზროვნება პოლიტიკურ პარტიათა შორის დაპირისპირებების, ერთურთისადმი კომპრომატების ძიებასა და სკანდალის გაშუქებებზეა ორიენტირებული.

უნდა ვაღიაროთ, რომ საზოგადოება, მეგობარი მეგობარს, მეზობელი მეზობელს დღეს ისე დაუპირისპირდა, როგორც არასოდეს.

რაგბის, ჭიდაობის, სამბოს (პირობითად) ფედერაციების პრეზიდენტის, ბაგაბაღების მმართველების, შპს, ააიპ-ების ხელმძღვანელთა დანიშვნა-გათავისუფლება, ერთი სიტყვით, ყველაფრის პოლიტიკურ ჭრილში განხილვა არაა მომგებიანი არც ქვეყნისთვის და არც რომელიმე პოლიტიკური პარტიისთვის, თავისთავად არც პოლიტიკური სუბიექტებისთვის.

ყველაფერი რომ პოლიტიზირებულია და ყველა რომ პოლიტიკოსია ღირსეულ პოლიტიკოსთა ნაკლებობაზე, სიმცირეზე ხომ არ მიუთითებს?

რას ნიშნავს გასაკეთებელს (პრობლემას) ყველა რომ ვხედავთ და ვერ ვაკეთებთ, ვერ ვაგვარებთ, რისი ბრალია?

ქვეყნის, საკუთარი თავის სიკეთე ყველას რომ გვინდა და საკუთარ თავზე ზრუნვა რომ გამოგვდის უფრო კარგად, ვიდრე ქვეყანაზე, რისი ბრალია?

ათრთოლებული ხმით რომ ეკვედრება უწმინდესი და უნეტარესი საქართველოდან საზღვარგარეთ გადახვეწილ ქართველებს სამშობლოში დაბრუნებას და ისინი ვერ ბრუნდებიან აქ, საქართველოში სათანადო პირობების არარსებობის გამო ვის დავაბრალოთ?

ისევ არჩევნებზე, ამ დღეებში ამომრჩეველთა სიების დაზუსტებაზე შეიქნა აურზაური, იუსტიციის სამინისტროს მონაცემებით ქვეყანაში სამი მილიონ ხუთასოცდაცხრამეტიათას ორმოცდა ცხრა ამომრჩეველია დაფიქსირებული, ოპოზიცია კი თითქმის ორასათასიან სხვაობაზე საუბრობს, თან მიუთითებენ, რომ ყოველივე არჩევნების შედეგებით მანიპულირებისთვის იქნება გამოყენებულიო.

მტყუან-მართალს ჩემზე კომპეტენტურები გაარკვევენ, უბრალოდ ის გვინდა ვთქვათ, რომ როცა 5 მილიონიან ქვეყანაში ამომრჩეველთა რაოდენობის დადგენა განსჯის საგანია, რა უნდა ქნან ჩინეთში? იაპონიაში? ინდონეზიაში?...

დავით აღმაშენებლის დროს საქართველოში რამდენი ადამიანიც დაიბადებოდა აღრიცხვაც შესაბამისად ხდებოდა, რამდენი ბიჭი გაჩნდებოდა იმდენი ხმალი, იარაღი, საჭურველი... მზადდებოდა, დღევანდელ კომუნიკაციების ეპოქაში კი...

ვინ იცის რამდენი რამაა სათქმელი, კიდევ ბევრი კი გასაკეთებელი.

აფხაზეთი დასაბრუნებელია...

ოკუპირებული ტერიტორიები საქართველოს საზღვრებშია მოსაქცევი...

ეკონომიკა, სოფლის მეურნეობა, მრეწველობა აღსადგენი, ასაღორძინებელია...

ხალხში რწმენისა და იმედის გაღვივებაა საჭირო.

არაა ამბიციებით თრობის დრო...

ლელო კვლავ გასატანია...

დაბოლოს, მოახლოებულ არჩევნებში მონაწილე პოლიტიკურმა პარტიებმა, პოლიტიკურმა სუბიექტებმა სიღრმისეულად უნდა გაითავისონ ქვეყანაში არსებული რეალური ვითარება და ისე უნდა გააკეთონ განაცხადი

პარლამენტარობაზე.

უნდა აღორძინდეს საქართველო.

ქართველმა უნდა იქართველოს საქართველოში.

ბოლოს და ბოლოს!

საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის, ილია II-ის სააღდგომო ეპისტოლე

“დამიხსნის მე უფალი ყოველის ბოროტი საქმისაგან

და მაცხონებს მე თავის ზეციურ სასუფეველში” (II ტიმ. 4, 18)

ყოვლადსამღვდელონო მღვდელმთავარნო, ღირსნო მოძღვარნო, დიაკონნო, ბერ-მონაზონნო, საერო დასნო, საყვარელნო დანო და ძმანო!

ქრისტე აღდგა!

ქრისტე აღდგა! _ გუგუნებენ ეკლესიის ზარები,

ქრისტე აღდგა! დღესასწაულობს ცა და ქვეყანა

ქრისტე აღდგა! _ სიხარულით ვღაღადებთ ჩვენც და არამიწიერი გრძნობით აღვსილნი ბოროტების ბატონობის დასრულებას ვზეიმობთ.

“სადა არს, სიკვდილო, საწერტელი შენი?

სადა არს, ჯოჯოხეთო, ძლევაი შენი?” (Iკორ. 15, 55).

დღეს ყველა ბედნიერია, _ მდიდარი თუ ღარიბი, მოხუცი თუ ახალგაზრდა, ჯანმრთელი თუ სნეული... ურწმუნო ადამიანიც კი სხვა გრძნობითაა განმსჭვალული.

_ რატომ არის ასეთი ყოვლისმომცველი ეს ზეიმი?

_ იმიტომ, რომ მაცხოვარმა აღდგომით ზეცის კარიბჭენი გახსნა ყველასთვის და ადამის მთელი მოდგმა ადამის ცოდვის გამომსყიდველს შეჰხარის.

_ მაგრამ რის ფასად მოგვენიჭა ეს ბედნიერება?

“შენთვის ღმერთი შენი ვიქმენ ძედ შენდა; შენთვის უმაღლესი ზესკნელთა გარდამოხვედ ქუეყანად და ქვეყანით შთავხედ ქუეშე ქუეყანისა, რათა ხრწნილებისაგან აღგადგინო”, _ ვკითხულობთ დიდი შაბათის საკითხავში. დიახ, “ცოდვის არმცოდნე (უფალი) ცოდვის მსხვერპლი გახდა ჩვენი გულისთვის, რათა მასში ღმერთის სიმართლედ ვქცეულიყავით” (II კორ. 5. 21).

ამ მოვლენის არსი რომ ნაწილობრივ მაინც გავაცნობიეროთ, ჯერ სულიერად გოლგოთას უნდა მივეახლოთ, სადაც ჯვარცმულ მაცხოვართან ერთად ორი დამნაშავეა გაკრული ძელზე.

ორივე ავაზაკი ცოდვებით და უკეთურებებით იყო სავსე, მაგრამ სულიერად სრულიად განსხვავდებოდნენ ერთმანეთისგან.

ერთი შეურაცხყოფდა უფალს და დასცინოდა მას, მეორე კი თავის ხვედრს სამართლიანად მიიჩნევდა და სთხოვდა იესოს შეწყალებას.

დიადი რწმენა! _ ასე ახასიათებენ წმინდა მამები მეორე ავაზაკის ამ მდგომარეობას. საადგომო ერთ-ერთ ჰომილიაში ვკითხულობთ: თვით მოციქულებიც, რომლებიც ხედავდნენ უკვე მკვდრეთით აღმდგარ იესოს, კიდევ მერყეობდნენ და დამამტკიცებელ საბუთებს ეძიებდნენ, ჯვარცმულმა ავაზაკმა კი ყველაზე დამამცირებელი სასჯელით დასჯილი ქრისტე იწამა და შესთხოვა: “მომიხსენე მე, უფალო, ოდეს მოხვიდე სუფევითა შენითა” (ლუკა, 23, 42); პასუხად კი მიიღო: “ამინ, გეტყვი შენ: დღეს ჩემთანა იყო სამოთხესა” (ლუკა 23, 43).

თავმდაბლობამ, საკუთარ ცოდვათა გაცნობიერებამ და სინანულმა ავაზაკს სულიერი თვალი აუხილა, ჯვარცმულ იესოში მაცხოვარი დაანახა, რაც გახდა მიზეზი ჯვრიდან ზეცაში მისი მსწრაფლ აღყვანებისა.

აქვე მინდა შეგახსენოთ “ქართლის ცხოვრებაში” დაცული შემდეგი ისტორია: იერუსალიმიდან მოსული მოწვევის თანახმად, დღესასწაულში მონაწილეობის მისაღებად და, მასთან, მაცხოვრის ჯვარცმაზე დასასწრებად წასვლა საქართველოში მცხოვრები ებრაელებიდან, ლონგინოზთან ერთად, მოუწია წმინდა სიდონიას ძმას, ელიოზს;

მათი დედა დიდად წუხდა იმის გამო, რაც შეიძლება წმინდა ქალაქში განვითარებულიყო, რადგან გრძნობდა, უსამართლო განსჯა ხდებოდა მართლისა;

ამიტომაც შვილი დაარიგა, არ მიელო მონაწილეობა მაცხოვრის დასჯაში, რაც ელიოზმა აღასრულა და მცხეთაში მაცხოვრის კვართი სწორედ მან და ლონგინოზმა ჩამოაბრძანეს.

მანამდე კი, პარასკევ დღეს, როცა პასანიმა (ჯვალათმა) კვერი (იგივე ურო) დაარტყა იესოს ჯვარზე მისაჭედებლად, ელიოზის და წმინდა სიდონიას დედა იმდენად თანაეზიარა ვნებებს უფლისას, რომ დაჭედების ხმა გოლგოთიდან მცხეთას მოესმა, სამსჭვალმა თითქოს გულში გაუარა, ტკივილისაგან სულშეძრულმა “იკრჩხიალა მწარედ” აღმოთქვა რა: “მშვიდობით, მეფობაო ჰურიათაო, რამეთუ მოჰკალთ თავისა მაცხოვარი და მხსნელი” და სული განუტევა.

ეს არის იესო ქრისტეს, როგორც ჭეშმარიტი ღმერთის,

სრული აღიარება და ამასთან, მისთვის პირველი მარტვილობის მაგალითი კაცობრიობის ისტორიაში.

ასე რომ, მაცხოვრის ჯვარცმისას მარადიული ნეტარების ღირსი ორი პიროვნება აღესრულა ქრისტეს რწმენით, _ იერუსალიმში ავაზაკი და მცხეთას წმინდა სიდონიას და ელიოზის დედა. წმ. სიდონიას დედა წმინდანად ახლახანს იქნა კანონიზებული საქართველოს ეკლესიის მიერ.

აღვნიშნავთ იმასაც, რომ კეთილგონიერი ავაზაკი ამავე დროს, არის მონანული ქრისტიანის სიმბოლო, რადგან ჩვენ ყველანი ცოდვილნი ვართ ღვთის წინაშე. მართალია, უფლის ნათლისღებით ნათელვიღეთ და განვიბანეთ სულისა და ხორცის ბიწისაგან, მაგრამ ჩვენი დაცემული ბუნების გამო ნათლობის შემდეგაც არ ვიშლით ავ ზნეს და ვნებათა მონა ვხდებით ყოველდღიურად, რაც საუკუნო დაღუპვას გვიქადის.

_ როგორ მოვიქცეთ?

_ ღმერთს უნდა მივუახლოვდეთ.

_ და რა გავაკეთოთ ამისათვის?

_ უნდა ვისწავლოთ საკუთარ თავზე დაკვირვება, თითოეული ჩვენი ქმედების სწორი შეფასება, უნდა ვისწავლოთ ანალიტიკური აზროვნება, თეთრისა და შავის გარჩევა, რაც საშუალებას მოგვცემს, ბოროტს განვეშოროთ და სიკეთეს ვემსახუროთ.

სამწუხაროდ, თუნდაც მორწმუნე, მაგრამ არაეკლესიური ადამიანების უმრავლესობასაც თავდაპირველად ჰგონია, რომ მათ, თითქოს, ცოდვა არა აქვთ, რომ კარგი თვისებებიანი არიან და არაფერი აქვთ სააღსარებო და მოსანანიებელი; მაშინ, როდესაც, მართლაც, წმინდად მცხოვრებნი გულწრფელად მიიჩნევენ, რომ უღირსნია და მათზე ცოდვილი სხვა არავინაა.

_ ასე რატომ ხდება?

_ შეგახსენებთ აბბა დოროთეს საუბარს ქალაქ ღაზას ერთ წარჩინებულ და ფრიად გავლენიან მოქალაქესთან:

_ როგორად მიგაჩნია შენი თავი ამ ქალაქში? _ ჰკითხა მას წმინდანმა.

_ ფაქტია, ყველა მიცნობს და მაფასებს, _ იყო პასუხი.

_ თუ კესარიაში წახვალ, იქ როგორად მიიჩნევ შენს თავს?

_ იქაურ დიდებულთა შორის უმცირესად.

_ ანტიოქიაში თუ იქნებოდი?

_ ჩვეულებრივ მოქალაქედ.

_ და თუ კონსტანტინეპოლში მეფის კარზე მოხვდებოდი?

_ გლახაკად და არაფრისმქონედ.

ასე არის ნებისმიერი ადამიანიც, _ უთხრა აბბა დოროთემ, _ რაც უფრო უახლოვდება ღმერთს, მით მეტად ხედავს თავის არარაობას და უღირსობას.

ხოლო ვინც მისგან შორს არის, თავისი ცხოვრებით, თავმომწონეობს.

ჩვენ უნდა დავიწყოთ ჩვენი თავის შეცნობა და ჩვენი სისუსტეებისა და ნაკლოვანებების გაცნობიერება.

როგორც წმინდა მამები აღნიშნავენ, მომაკვდინებელ ვნებები შემდეგია: გემოთმოყვარეობა, სიძვა, ვერცხლისმოყვარეობა, მრისხანება, მოწყინება, უიმედობა, დიდებისმოყვარეობა და ამპარტავნება. სხვა ყველაფერი მათგან მომდინარეობს. ამა თუ იმ ცოდვამ ადამიანში თუ ღრმად გაიდგა ფესვი, მას დამღუპველი ზემოქმედება აქვს.

ამიტომაც, ნუ იფიქრებ, რომ თუ შენ, მაგალითად, კეთილი ხარ, მაგრამ ლოთი, ეს ცოდვა მძიმედ არ იმოქმედებს შენს მომავალ ცხოვრებაზე. ან, თუ გონიერი ხარ, მაგრამ შურით სავსე, ეს ხელს არ შეგიშლის ცხონებაში.

“ვინც თქვა არ იმრუშო, ისიც თქვა: არა კაც ჰკლა. ამიტომ, თუ არ იმრუშებ, მაგრამ კაცს მოკლავ, რჯულის დამრღვევი ხარ”. (II ტიმ. 2, 10-11). ამასთან, ვნებებს შორის უხილავი, მტკიცე მიზეზ-შედეგობრივი კავშირია და თუ ადამიანი ერთ-ერთმა მათგანმა ჩაითრია, ის ერთი სხვა ვნებებსაც მოიზიდავს.

თუმცა, როგორც ერთი ცოდვა შობს მეორეს, ასეთივე თვისებისაა ქრისტიანული სიკეთენიც. იცოდე, ერთ ღვთისსათნო საქმეში თუ განმტკიცდები, სხვა სათნოებებსაც შედარებით ადვილად მოიპოვებ.

მოწაფის კითხვაზე: რა გავაკეთო, რომ ღმერთს სათნო ვეყო? _ ცნობილმა ბერმა უპასუხა: განა ყველა კეთილი საქმე არ არის? აბრაამი იყო სტუმართმოყვარე და ღმერთი იყო მასთან. დავით მეფე იყო მშვიდი და ღმერთი იყო მასთან, შენც დაუკვირდი, რომელი ქველი საქმისაკენ ისწრაფვის შენი სული, აკეთე იგი ღვთის სადიდებლად და სხვა მადლიც განმრავლდება შენში. ოღონდ, უპირველეს ყოვლისა, მოიპოვე სინანული და თავმდაბლობა, რაც არის ქრისტიანული ცხოვრების საფუძველი.

“შეინანეთ”! _ ქადაგებდა წმ. იოანე ნათლისმცემელი.

“შეინანეთ, რამეთუ მოახლოებულ არს სასუფეველი ცათა” (მთ. 4. 17) _ მოუწოდებდა და მოუწოდებს მაცხოვარი და ამასთან გვაფრთხილებს:

“ყავთ ნაყოფი ღირსი სინანულისა”, _ რაც ნიშნავს იმას, რომ სინანული ჩადენილი ცოდვის ტოლფასი უნდა იყოს, ანდა სჭარბობდეს მას, თუ გვინდა, რომ აღირიცხოს იგი ჩვენი სულიდან. გავიხსენოთ მეზვერე ზაქე წმინდა სახარებიდან. უფალთან შეხვედრამ იგი ისე შეცვალა, რომ უფალს აღუთქვა მებაჟეობისას ხალხისაგან უსამართლოდ წართმეულ ზედმეტს ოთხწილად დაუბრუნებდა უკან ყველას, რადგან იგრძნო თავისი დანაშაულის სიმძიმე.

ღმერთს უყვარს გულწრფელად მონანული ასეთი ადამიანი; უყვარს იმდენად, რომ მისი მოწყალება ფარავს ყველაზე დიდ და მძიმე ცოდვებსაც.

_ როგორ მივხვდეთ, ცოდვის ტოლფასია თუ არა ჩვენი სინანული?

_ თუ შედეგად ჩვენში ხდება ცოდვასთან სრული განშორება და აზროვნების და ცხოვრების წესის შეცვლა, _ მიზნისთვის მიგვიღწევია.

ასეთი სინანული არის სინდისის განწმენდელი და აღმადგინებელი ძალა, სულიერი სიმშვიდის მომნიჭებელი და სასწაულთმოქმედების უნარის მქონე მადლი, ღვთის მოწყალების გამღები ერთადერთი კარი.

სულიერი თვალის ახელა ზოგიერთ პიროვნებაში ნელ-ნელა ხდება, ზოგიერთში კი _ ერთბაშად, თუმცა ორივე შემთხვევაში სიწმინდის შენარჩუნება სერიოზულ ძალისხმევას მოითხოვს.

ამ ბრძოლაში დიდ შეცდომას დავუშვებთ, თუ მხოლოდ ჩვენს თავს დავეყრდნობით, არამედ მუდმივად უნდა ვლოცულობდეთ და უფალს ვუხმობდეთ, რადგან მხოლოდ იგია ბოროტის შემმუსვრელი და ჩვენი განმაძლიერებელი.

არ შევუშინდეთ დროებით წარუმატებლობას!

წმინდა მამები გვასწავლიან, რომ ის კი არ არის საშიში, თუ ვნებები გვებრძვის და ჩვენც ვებრძვით მათ, არამედ ისეთი მდგომარეობა, როცა ვემორჩილებით სხვადასხვა ვნებას და წინააღმდეგობის გაწევის სურვილი აღარ გვაქვს.

უბედურება იმაში კი არ არის, რომ შეცოდე, არამედ იმაში, რომ დაცემულს ადგომა არ გინდა; უბედურება ის კი არ არის, რომ ვნებებმა დროებით დაგძლია, არამედ ის, რომ ცოდვაში ცხოვრება მოგწონს და ჯიუტად აგრძელებ ასეთ ყოფას და სხვათაც ღუპავ.

ზოგს მიაჩნია, რომ ღვთის მცნებების დაცვა ძნელია და რადგან ამის უნარი არა აქვს, ურჩევნია, ძველებურად განაგრძოს ცხოვრება, თუმცა იცის, რომ სწორად არ იქცევა. დიდი ნაწილი კი ფიქრობს, რომ მისთვის მთავარია, დღეს, აქ ჰქონდეს ყველაფერი, აქ იგემოს ყველა შესაძლო სიამოვნებაც და განსაცდელიც, რადგან რა იქნება გარდაცვალების შემდეგ, არ იცის და არ ესმის, რატომ უნდა დაიტანჯოს თავი რაღაც გაურკვეველი მომავლისათვის, რომელიც მართლა არსებობს თუ არა, არავინ უწყის. ასეთად მოაზროვნეთათვის, რა თქმა უნდა, რაიმეს მტკიცებას აზრი არა აქვს. ისინი იმასაც ვერ ხვდებიან, რომ თუ ჩვენ მხოლოდ ამქვეყნიური ცხოვრებისათვის ვიყავით შექმნილი, მაშინ, წესით, სიკვდილი არ უნდა ყოფილიყო და ჩვენი ყოფაც აქ, ამ მიწაზე დაუსრულებლად უნდა გაგრძელებულიყო.

ხმელეთისა და ზღვისქვეშეთი, ფლორა და ფაუნა, მზის გალაქტიკა (სხვაზე რომ აღარაფერი ვთქვათ) მთელი თავისი ურთულესი მექანიზმებით ნუთუ მარტო იმისთვის შეიქმნა, რომ ჩვენ ამ გარემოში 40, 80 თუ 100 წელი დავყოთ მხოლოდ და მერე უკვალოდ გავქრეთ, ეს ხომ უაზრობაა.

ნუ მივემსგავსებით მაცხოვრის გვერდით ჯვარცმულ იმ ავაზაკს, რომელმაც მთელი სიცოცხლის მანძილზეც და ძელზე ყოფნისასაც ვერ გაიგო, რა იყო სიცოცხლის აზრი, ვერც ქრისტე შეიცნო, და კიდევ უარესი, _ ბოლომდე შეურაცხყოფდა და დასცინოდა მას.

ღმერთმა ყველა დაიფაროს ამ მდგომარეობისაგან.

თუ ძელზედ გაკრული მეორე ავაზაკი სიმბოლოა მორწმუნე და მონანული საზოგადოებისა, ეს ავაზაკი სახეა ურწმუნო და უგულისხმო, სინანულის არმქონე ხალხისა. ჩვენ რომელ ავაზაკს ვგავართ? როგორი იქნება ჩვენი ჯვარი, _ გადამრჩენელი თუ წარმწყმედელი?

“ამქვეყნიური ჩვენი ყოფა ქარვასლას ჰგავს, სადაც ყველაფერი იყიდება, _ წერენ წმინდა მამები, _ წარუვალი ბედნიერების შეძენა თუ გსურთ, წარმავალი დროებითი სიკეთენი უნდა დათმოთ, რადგან იგი მხოლოდ ასეთი საფასურით მოიპოვება; მაგრამ თუ ამ შესაძლებლობას ახლა ხელიდან გაუშვებთ, მას სამუდამოდ დაჰკარგავთ, რადგან ასეთი საშუალება აღარასოდეს გვექნება”.

როდესაც ვსაუბრობთ, რომ დროებითი სიკეთენი უნდა დავთმოთ მარადიული ნეტარებისათვის, ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ მორწმუნე ადამიანი (საერო თუ სასულიერო პირი) ამქვეყნიურ ცხოვრებას მუდმივ მწუხარებაში ატარებს; სულაც არა. ცოდვასთან და სხვადასხვა ბოროტებასთან სულიერი ბრძოლა თუ ხდება ლოცვითა და ღმერთზე მინდობით, უფალთან უხილავი, მაგრამ რეალური ისეთი კავშირი მყარდება, ისეთი სხვა განცდა შემოდის, რომ იგი თავისი სიძლიერით ფარავს ნებისმიერ ტკივილს. ამიტომაც ამბობენ, რომ ამგვარად მცხოვრებთათვის სამოთხე დედამიწიდან იწყებაო.

დიახ, ადამიანი ბედნიერებისთვისაა შექმნილი და ამას ესწრაფვის იგი მაშინაც, როდესაც ვნებებს ემონება და მაშინაც, როდესაც ცოდვებს განეშორება. ვისაც ცოდვის მორევში ყოფნა მოსწონს და ამაში ჰპოვებს მხოლოდ სიამოვნებას, მისთვის გაუგებარი და მიუღებელია ის სიხარული და ნეტარება, რომელსაც ჯვარცმული იესო გვთავაზობს.

მას სხვა ვერაფრით დავეხმარებით, გარდა ლოცვისა და ჩვენც შევთხოვთ აღდგომილ მაცხოვარს, ყველას გაუნათოს გული და გონება წარუვალი ბედნიერების შესაგრძნობად.

როგორც აღვნიშნეთ, ქრისტიანული ცხოვრება სერიოზული პრობლემების დაძლევას გულისხმობს. რა თქმა უნდა, ამ გზაზე ხშირად გვხვდება ცილისწამება, ღვარძლი, გაჭირვება, შური... და დგება ისეთი მომენტებიც, როცა ჩვენც აღმოგვხდება: “შამაო ჩემო! თუ შესაძლებელია, ამარიდე ეს სასმისი” (მთ. 26, 39), ანდა “ღმერთო ჩემო, ღმერთო ჩემო, რაისათვის დამიტევებ მე” (მთ. 27, 46), მაგრამ ყოველთვის უნდა გვახსოვდეს, რომ ღმერთი იმაზე დიდ ჯვარს არ მოგვცემს, რისი ტვირთვაც არ ძალგვიძს. ამიტომაც, გაჭირვების ჟამს მასვე უნდა მივმართოთ, სულიერი ღვაწლი განვაძლიეროთ და პრობლემები მალევე დაიძლევა.

გამოუვალი მდგომარეობა არ არსებობს!

ხოლო ის, ვინც სისუსტის, შიშის თუ სხვა რაიმე მიზეზის გამო თვითმკვლელობით ამთავრებს სიცოცხლეს, რთულ სიტუაციას კი არ განერიდება, არამედ მარადიული ტანჯვის მორევში შედის. ამიტომაც, ვისაც ასეთი ფიქრები გაუჩნდება, მსწრაფლ უნდა მოიშოროს თავიდან, მოძღვართან მივიდეს აღსარება თქვას, რათა სულიერად განმტკიცდეს და ბოროტის მარწუხებისგან თავი დაიცვას.

სამწუხაროდ, ბოლო დროს თვითმკვლელობის ფაქტები განსაკუთრებით გახშირდა გარდამავალი ასაკის ახალგაზრდებს შორის. მათში ემოციური ფონი გაძლიერებულია. ამასთან, გარემოს შეცნობისა და ძიების პროცესი მიმდინარეობს, რასაც შეიძლება არასწორი მიმართულება მიეცეს. ამიტომაც, ჩვენს გოგონებსა და ვაჟებს ამ პერიოდში მშობლებისაგან მეტი ყურადღება

რეგიონული ლაბორატორია ქუთაისში

ნინო ნანიტაშვილი

ვიდრე რეგიონული ლაბორატორიები გაიხსნებოდა, მცენარეთა და ცხოველთა დაავადებების სინჯების იდენტიფიკაცია სოფლის მეურნეობის სამინისტროს კვლევით ცენტრებში გადაგზავნით ხდებოდა. ეს პროცესი მეტ დროს მოითხოვდა და პასუხიც, შესაბამისად, დაგვიანებული იყო.

სოფლის მეურნეობის სამინისტროს სამტრედიის მუნიციპალიტეტის საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახურის უფროსის განმარტებით, მათ ბევრი მოქალაქე მიმართავდა, რომლებსაც ამა თუ იმ დაავადებაზე მყისიერი პასუხი და სწრაფი რეაგირება სჭირდებოდათ. ამდენად, ნებისმიერ სიტუაციაში არ იყო ეფექტური სინჯების კვლევითი ცენტრის ლაბორატორიაში გადაგზავნა.

სოფლის მეურნეობის სამინისტრო მივიდა იმ გადაწყვეტილებამდე, შეექმნათ რეგიონული ლაბორატორიები.

სოფლის მეურნეობის მინისტრმა, ოთარ დანელიამ, ქუთაისის მერმა შოთა მურღულიამ და იმერეთის გუბერნატორის პირველმა მოადგილემ, პაატა ნადირაძემ სურსათის ეროვნული სააგენტოს და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ლაბორატორიის იმერეთის რეგიონული ოფისები დაათვალიერეს, სამუშაო პროცესს ადგილზე გაეცნენ და თანამშრომლებს შეხვდნენ. შეხვედრაზე ყურადღება გაამახვილეს სამომხმარებლო ბაზრის კონტროლის მნიშვნელობაზე, რაც ტურისტული სეზონის მოახლოებასთან ერთად მეტად აქტუალური ხდება.

თანამედროვე აპარატურით აღჭურვილი ქუთაისის რეგიონული ლაბორატორია ცხოველთა დაავადებების პირველად და დამადასტურებელ დიაგნოსტიკას ახორციელებს. ტარდება კვლევები როგორც მცენარეთა დაავადებების დიაგნოსტიკის, ისე სურსათის კვლევის მიმართულებითაც. უკვე დანერგილია და აქტიურად მიმდინარეობს ფუტკრის დაავადებების კვლევაც. 2015 წლიდან ქუთაისი ზონალურ-დიაგნოსტიკური ლაბორატორია ISO 17025 საერთაშორისო აკრედიტაციას ფლობს. ამჟამად ლაბორატორიაში 11 სპეციალისტია დასაქმებული.

ქუთაისში, სურსათის ეროვნული სააგენტოს იმერეთის რეგიონული ოფისის ახალი შენობა 2015 წელს გაიხსნა, სადაც 46 ადგილობრივი სპეციალისტი დასაქმდა. რეგიონის მასშტაბით სააგენტოს სპეციალისტები სურსათის უვნებლობის სახელმწიფო კონტროლს, ვეტერინარული კეთილსაიმედოობის კუთხით ცხოველთა ვაქცინაციებს (დაავადებებზე _ ცოფი, თურქული, ცხვრის და თხის ყვავილი, ნოდულარული დერმატიტი) ახორციელებენ. ტუბერკულოზზე და ბრუცელოზზე ტარდება სისხლის ნიმუშების გამოკვლევა. სურსათის ეროვნული სააგენტო მთელი ქვეყნის მასშტაბით ახორციელებს სამომხმარებლო ბაზრის კონტროლს, სკოლებისა და საბავშვო ბაღების კვების ბლოკების შემოწმებას, ასევე, იმერეთის რეგიონში მდებარე ცხოველთა 13 სასაკლაოს მონიტორინგს. სასაკლაოებში დანერგილია HACCP-ის (საფრთხის ანალიზისა და კრიტიკული საკონტროლო წერტილები) სისტემა, რაც ზრდის მომხმარებლის ნდობას წარმოებული სურსათისადმი და მნიშვნელოვანი წინ გადადგმული ნაბიჯია ევროკავშირთან დასაახლოებლად.

"მნიშვნელოვანია სამომხმარებლო ბაზრის და სწრაფი კვების ობიექტების მონიტორინგი, რასაც სურსათის ეროვნული სააგენტოს წარმომადგენლები ინტენსიურად ახორციელებენ. რეგიონში აქტიურად მიმდინარეობს საბავშვო ბაღებისა და სკოლების კვების ბლოკების კონტროლი. ადგილობრივ ხელისუფლებასთან აქტიური თანამშრომლობის შედეგად სკოლამდელ დაწესებულებებში უკვე ჩატარდა სარეაბილიტაციო სამუშაოები და დღეისათვის იქ არსებული კვების ბლოკების უმრავლესობა დადგენილ სტანდარტებს აკმაყოფილებს". _ განაცხადა ოთარ დანელიამ.

მიმდინარე წელს, იმერეთის რეგიონში სურსათის ეროვნული სააგენტოს მიერ ინსპექტირებულია 232 სკოლისა და სასკოლო დაწესებულების კვების ბლოკები. სააგენტოს სპეციალისტებმა გასცეს 440 ფიტოსანიტარიული სერტიფიკატი, მათ შორის 225 _ მწვანილზე. რაც ადგილობრივი პროდუქციის ექსპორტის მოცულობის ზრდაზე მეტყველებს.

სოფლის მეურნეობის სამინისტროს სამტრედიის მუნიციპალიტეტის საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახურის უფროსი მამუკა კვანტალიანი, იმერეთის რეგიონში, კერძოდ, ქალაქ ქუთაისში კვლევითი ლაბორატორიის გახსნას რეგიონისთვის უმნიშვნელოვანეს მოვლენას უწოდებს: "ქუთაისის რეგიონული ლაბორატორიის გახსნამ ბევრი პრობლემა მოუხსნა ჩვენს ფერმერებს. რამდენიმე საათში შეიძლება უცხო დაავადების გამოკვლევა და დადგენა, რასაც აქამდე დღეები სჭირდებოდა. ამდენად, მივესალმებით ქუთაისის ლაბორატორიის ამოქმედებას, რაც ხელს შეუწყობს ამა თუ იმ დაავადების საწყის ფაზაშივე აღმოფხვრას. მკითხველისთვის რომ უფრო მარტივად გასაგები იყოს, კონკრეტულ ფაქტებს გავიხსენებ: შარშან ჩვენს მუნიციპალიტეტში მასობრივად გამოვლინდა თხილის დაავადება. სინჯები გაიგზავნა თბილისში, რომლის პასუხი სამ დღეში მივიღეთ. მომავალში ფერმერს შეეძლება ქუთაისის ლაბორატორიას თავად მიმართოს, სპეციალისტი ადგილზე წამოიყვანოს და მცენარე და მოსავალი განადგურებას გადაარჩინოს.

სჭირდებათ. მართალია, ეკონომიურმა გაჭირვებამ დედაც და მამაც აიძულა, რომ ლუკმა-პურის საშოვნელად მთელი დღე სახლის გარეთ დაჰყონ, მაგრამ შვილზე მზრუნველობა უმთავრესია და აქ, როგორც ქალის, ისე მამაკაცის, პასუხისმგებლობა თანაბარია.

მოზარდებისათვის ყურადღების მიქცევა მკაცრ მოპყრობას არ გულისხმობს. პირიქით, ეს ისეთი ასაკია, როდესაც თქვენ, მშობლები, მათ მეგობრად უნდა ექცეთ, მეტი სითბო აჩვენოთ, დაინტერესდეთ მათი მიზნებით, ცხოვრების წესით, სამეგობრო წრით, რომ თანამდგომად მიგიღონ და გულახდილნი გახდნენ. ეს თქვენთვისაც აუცილებელია და მათთვისაც.

აქვე შევეხები ქუჩის ბავშვების პრობლემას. ისინიც ჩვენი ხვალინდელი დღის შემოქმედნი იქნებიან და, ბუნებრივია, მეტად მნიშვნელოვანია, თუ როგორ პიროვნებებად ჩამოყალიბდებიან.

უკვე 21 წელია ამ მიმართულებით იღვწის ჩვენი ეკლესია; სათანადო ორგანიზაციები, არასამთავრობო სექტორი, ხელისუფლება ამ თემაზე კარგა ხანია სერიოზულად მუშაობს. ჩვენ მზად ვართ მომავალშიც, შესაძლებლობისამებრ, გვერდში დავუდგეთ მათ. უმეთვალყურეოდ დარჩენილი პატარები ქუჩაში არ უნდა ცხოვრობდნენ და ამას მალე უნდა მივაღწიოთ.

ეკლესიას დიდი სურვილი აქვს, მზრუნველობა გაუწიოს იმ ახალგაზრდებს, რომელთაც ასაკის გამო ბავშვთა სახლებში აღარ აჩერებენ, წასასვლელიც არსად აქვთ და არც ცხოვრებისთვის არიან მომზადებულნი.

ჩვენ გამოვყავით როგორც ტერიტორია, ასევე შენობა და არასამთავრობო სექტორთან, ჯანდაცვის სამინისტროსა და მერიასთან თანამშრომლობით ვფიქრობთ, აქ გავხსნათ სახელობო-პროფესიული სასწავლებელი, სადაც 8 წლის გოგონებისა და ვაჟების გარკვეული რაოდენობა 23 წლამდე იცხოვრებს კიდეც და დამოუკიდებელი არსებობისათვისაც მოემზადება.

ეს, რა თქმა უნდა, მეტად მცირეა იმ საქმესთან შედარებით, რაც გასაკეთებელია, როგორც ეკლესიის, ისე სახელმწიფოს მხრიდან.

მრავალ პრობლემას ეშველება, თუ მოსახლეობა დასაქმდება, თუ მცირე ბიზნესი განვითარდება და სოფლის მეურნეობა აღორძინდება.

მეტი გასაქანი უნდა მიეცეს მინანქრის, ოქროსა და ვერცხლის დამუშავებას, მზისა და ქარის ენერგიის გამოყენებას, წყლის ექსპორტს, კერამიკის, შუშისა და თიხის წარმოებას, მცირე ჰესების მშენებლობას, ტურიზმს და სხვა.

სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია, რომ დღეისათვის საქართველოს შემოაქვს სოფლის მეურნეობის კვების პროდუქტების 80%; არადა ქვეყანას აქვს რეალური შესაძლებლობა იმისა, რომ სრულად დააკმაყოფილოს მოსახლეობის მოთხოვნილება და მის გატანაზეც იფიქროს. ამისთვის კი უნდა გაძლიერდეს როგორც ოჯახური მეურნეობები და წახალისდეს სხვა კერძო ინიციატივები; ადგილზე უნდა აშენდეს გადამამუშავებელი მცირე საწარმოები, შეიქმნას მექანიზებული ჯგუფები, რომლებიც სოფლებს მოემსახურებიან.

სასურველი იქნება, თუ თითოეულ რეგიონს თანხის გარკვეული რაოდენობა გამოეყოფა და თავდაპირველად სახელმწიფო იზრუნებს გასაღებაზე ორიენტირებული და ამ მხარისათვის ყველაზე მომგებიანი მიმართულებების განვითარებაზე. მოსახლეობას ბიძგის და ორიენტაციის მიცემა სჭირდება, გონივრული დახმარება უნდა, რომ თავისი შრომის ნაყოფი დაინახოს და იგრძნოს, რომ მისი საქმიანობა შედეგის მომტანია.

მაშინ ქვეყანა მალევე დაიწყებს აღორძინებას და ხალხში შრომის სიყვარული აღდგება. საყოველთაო ჯანდაცვა, მთის კანონი, სოფლის მეურნეობის განვითარების მიზნით დაგეგმილი ღონისძიებები იმედით განგვაწყობს, თუმცა მათ მიერ განსახორციელებელი დახმარებების თაობაზე ხალხის ინფორმირებულობა მეტი უნდა იყოს, რომ მოსახლეობამ სრულად გამოიყენოს არსებული შესაძლებლობები. ჩვენთვის ამ ქვეყნად მოცემული სიცოცხლის დრო უდიდესი დატვირთვისაა, რადგან ყოველი ადამიანისათვის ამ პერიოდში ხდება მარადიული ნეტარების მოპოვება ან დაკარგვა.

სწორად რომ ვიცხოვროთ, ფიზიკური, ინტელექტუალური და სულიერი შრომა უნდა შევუთავსოთ ერთმანეთს და ამასთან, უნდა ვიცოდეთ ისიც, რომ ყოველ დროს თავისი მახასიათებელი აქვს. იგი ამა თუ იმ მიმართულებას ხელს უწყობს, ან უგულებელჰყოფს. უნდა გავაცნობიეროთ, როგორია ჩვენი დროის შემოთავაზება, რომ ადვილად განვსაზღვროთ ჩვენი ადგილი ამ სამყაროში და ვუპასუხოთ მის გამოწვევებს.

თანამედროვეობამ "სიახლის" სახელით წინ წამოსწია "მეს" პრინციპი, გართობა, ბუნდოვანი აზროვნება, ვულგარული მეტყველება, აქცენტი ნაწილზე და არა მთელზე... ანუ ის, რასაც არა აქვს დიდი დატვირთვა და სიღრმე.

სანაცვლოდ, დამამცირებლად წარმოაჩენენ ისეთ ცნებებს, როგორიცაა ჭეშმარიტება, ღირსება, გონიერება, სამშობლო, მოყვასი და სხვა.

ასეთი ტენდენციები ახალგაზრდას პიროვნებად კი არა, მასის ნაწილად აყალიბებს და საშუალო დონის, ყველაფრის შემგუებელ არსებად აქცევს, რომელიც ცხოვრობს დღევანდელი დღით და მომავალი არ აინტერესებს.

შენ არ აჰყვე წუთისოფლის დინებას და მისგან შემოთავაზებულ განწყობას. ამა სოფლის სული არის სული სიცრუისა. იგი დღეს ერთ რამეს განადიდებს, ხვალ სხვას. განა ჩვენ მოწმენი არა ვართ იმისა, რომ რაც საზოგადოების ნაწილს 10-20-40 წლის წინ კარგად და მისაბაძად მიაჩნდა, დღეს მას დასცინის?! ასევე იქნება ცოტა ხნის შემდეგ იმ "ფასეულობების" მიმართ, რასაც იგი დღეს ხოტბას ახამს. შენ იფიქრე მარადიულ ღირებულებებზე და ეცადე, შენი მეობა, შენი ღირსება არასოდეს დაჰკარგო. უფლის მცნებები იყოს შენი წარმმართველი. ეცადე შენი შესაძლებლობების მიხედვით მაქსიმუმი გაიღო. ამასთან, ზომიერება შეინარჩუნე, გაკეთე ისე, რომ შენმა სწორმა ქმედებამ სიხარული მოგიტანოს და არა შფოთი და ასე, ნელნელა განმტკიცდები სათნოებებში.

მიემსგავსე ლოტს, რომელიც ცხოვრობდა სოდომში, სადაც ყველა უკანონობას სჩაიდოდა, მაგრამ იგი სხვებივით არ იქცეოდა, არამედ აკეთებდა იმას, რაც ღვთისთვის სათნო იყო, ამიტომ გადარჩა.

ისწავლე ლოცვა!

ლოცვა საუბარია ღმერთთან, გულისნადების მის წინაშე განფენაა, საკუთარი თავის მის შვილად შეცნობა და ღვთის მადლისა და შეწევნის მოპოვებაა; თუმცა სულიერი შრომა მარტო ლოცვას არ გულისხმობს. როგორც უკვე აღვნიშნეთ, ეს რა თქმა უნდა, აგრეთვე, არის სწორი სულიერი აზროვნება და სულიერი ცხოვრება. ეს რომ შევძლოთ, უფლის მხსნელ მარჯვენას ხელი უნდა ჩავჭიდოთ და მასთან ვიყოთ განუშორებლად.

მაშ, არ შევუშინდეთ დაბრკოლებებს, არ შევწყვიტოთ ბრძოლა განწმენდისათვის და ვიცოდეთ, რომ როგორი დაცემულიც არ უნდა ვიყოთ, უფალს ვუყვარვართ და გველოდება, ელოდება ჩვენს სინანულს; ამიტომაც ბრძანებს: "არ მოვსულვარ მართალთა მოსაწოდებლად, არამედ ცოდვილთა სინანულისთვის" (მთ. 9, 13), "მოვედით ჩემდა ყოველნი მაშვრალნი და ტვირთმძიმენი და მე განგისვენოთ თქვენ" (მთ. 11, 28), "რამეთუ უღელი ჩემი ტკბილ არს, და ტვირთი ჩემი სუბუქ არს" (მთ. 11, 30).

ოღონდ ნაბიჯის გადადგმა არ გავდოთ ხვალისათვის, რადგან ეს ხვალე შეიძლება აღარ დადგეს.

თითოეულ ჩვენგანს სასწაულთმოქმედების უდიდესი უნარი გვაქვს; თუ ღმერთს მივეახლებით და ცოდვებისაგან განვთავისუფლდებით, ჩვენს სულში დიდი ცვლილების მომსწრენი გავხდებით. ამისი მაგალითნი არიან წმინდანები. ისინიც ისეთივე ჩვეულებრივი ადამიანები იყვნენ, როგორიც ჩვენ ყველანი, ბევრ მათგანს ადრე ჩვენზე არანაკლები სისუსტეებიც შეიძლება ჰქონდა, მაგრამ სინანულით, აღსარებით, ზიარებით და სულიერი ღვაწლით ზეციურ სასუფეველს მიაღწიეს. ამიტომაც წერს ნეტარი ავგუსტინე, წმინდანთა რიცხვი ყოფილ ცოდვილთა რიგებიდან მრავლდებაო.

მაშ, შევიმოსოთ სიხარული, ქართველნო, აფხაზნო, ოსნო, ბერძენნო, რუსნო, უკრაინელნო, ებრაელნო, აზერბაიჯანელნო, სომეხნო, ასირიელნო, უდინნო, ქისტნო, ჩეჩენნო, ლეკნო, ქურთნო, იეზიდელნო და ყოველნო მკვიდრნო ივერიისა და უცხოეთში მცხოვრებნო თანამემამულენო!

მაცხოვარი დღეს იმედით აღავსებს მთელ სამყაროს; თითოეულმა ჩვენგანმაც ვიქონიოთ სასოება იმისა, რომ: "დამიხსნის მე უფალი ყოველი ბოროტი საქმისაგან და მაცხონებს მე თავის ზეციურ სასუფეველში".

ქრისტე აღდგა!

აღვდგეთ და ამიერიდან ჩვენც "წარვიდეთ სიკვდილისაგან ცხოვრებად, წარვიდეთ ხრწნილებისაგან უხრწნელებად, ბნელისაგან ნათლად, მონებისაგან თავისუფლებად, რათა ვიხაროთ ორსავ სოფელსა შინა, ამინ!

თქვენთვის მლოცველი

ილია II

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი

თბილისი,

აღდგომა ქრისტესი

2016 წელი

"მაისში გაირკვევა, ვიქცევით პარტიად თუ ლავრჩებით ფონდად"

ნათია ნაცვლიშვილი

ძმები ნინუების ქუჩაზე უკვე ფრიალებს წარწერებიანი დროშები. პაატა ბურჭულაძის საქართველოს განვითარების ფონდის სამტრედიის ორგანიზაციამ აქ საცხოვრებელი კორპუსის პირველ სართულზე რამდენიმე დღეა, დაიდო ბინა. როდის დააფუძნებს მაღალი კლასის პროფესიონალი, უღირსეულესი პიროვნება პარტიას? რატომ დაიბინძურა სუფთა ბიოგრაფია? რატომ დასჭირდა პოლიტიკაში მოსვლა? ვისი ინტერესების მსახური იქნება? რატომ გადაეშვა ხელოვანი პოლიტიკურ უფსკრულში? _ ესაა კითხვები, რომლებიც უკვე უტრიალებთ მოქალაქეებს გონებაში. ზოგიერთმა არაერთი უარყოფითი მოსაზრება "ფეისბუკის" საკუთარ გვერდზე დაპოსტა. ბოლო დღეებია, პაატა ბურჭულაძის ფონდის რეგიონალური ორგანიზაციები აქტიურად ფუძნდება დასავლეთ საქართველოში. ბუნებრივია, დიდია მოლოდინი და დიდი იქნება მოთხოვნებიც იმ ადამიანის მიმართ, რომელიც ერთ-ერთი გამორჩეული ქველმოქმედია და ლამის თანამედროვეობის ექვთიმე თაყაიშვილად მივიჩნიოთ. მისი სუფთა სინდისითა და ზნეობით. მანამდე, ვიდრე ქართული პოლიტიკა პაატა ბურჭულაძის შესაძლებლობებსაც გამოსცდის, დავინტერესდით რა მუშაობა მიმდინარეობს პაატა ბურჭულაძის საქართველოს განვითარების ფონდის სამტრედიის ორგანიზაციაში, რომლის აღმასრულებლად ლევან ბალანჩივაძე დაინიშნა.

ჯერ ოფისის ოფიციალური პრეზენტაცია არ გამართულა, ამიტომ, ჩვენს რესპონდენტს ბევრი სალაპარაკო არ აქვს, თუმცა, შეკითხვებზე პასუხი მაინც გაგვცა.

ლევან ბალანჩივაძეს ორი პროფესია აქვს ინჟინერ-მშენებელისა და ეკონომისტის. 1998-დან 2007 წლამდე მუშაობდა საგადასახადო ინსპექციაში, 2012-2014 წლებში მუნიციპალიტეტის გამგეობის ინფრასტრუქტურის სამსახურში მთავარ სპეციალისტად. შემდეგ მონაწილეობა მიიღო კონკურსში, ჩააბარა გამოცდა, პირველი ტური წარმატებით გადალახა, გასაუბრებაზე კი მისი კანდიდატურა მოწონებული არ იქნა.

"გავიგე, რომ შეიქმნა პაატა ბურჭულაძის საქართველოს განვითარების ფონდი, მივაწოდე ამ ფონდს ჩემი მონაცემები, დამიბარეს თბილისში გასაუბრებაზე, კომისიაში იყვნენ ხათუნა ლაგაზიძე, ზაზა მეფარიშვილი, გიორგი პაპელიშვილი, გასაუბრების შემდეგ გამომიძახეს და დავინიშნე ფონდის სამტრედიის ორგანიზაციის აღმსრულებელად. უნდა ჰყავდეს ორგანიზაციას ხელმძღვანელი, რომელიც ჯერ არ დანიშნულა, მე გახლავართ აღმასრულებელი. ოფისმენეჯერი ქალბატონი ნელი კოხრეიძეა, ახალგაზრდული ფრთის წარმომადგენელი კი სტუდენტი დავით ხურცილავაა". _ გვეუბნება ბატონი ლევანი.

რაც შეეხება ფონდის პარტიად ქცევის პერსპექტივას და ვადებს, ამის თაობაზე ჩვენი რესპონდენტი აცხადებს: "ბატონმა პაატამ ახლახან განაცხადა, რომ მაისის თვეში გაკეთდება განცხადება, იქნება თუ არა პარტია. ბატონი პაატას თქმით, ხალხი ითხოვს, ის მოვიდეს პოლიტიკაში. მართლაც ღირსეული ადამიანია და თავისი გუნდით მოდის სუფთა ხელებით, სურს წესიერი ხალხი დაიყენოს გვერდით. 75%-ია ამ ფონდის რეიტინგი, მაისის თვეში გაკეთდება განცხადება, ის იქცევა პარტიად თუ დარჩება ფონდად".

საქართველოს განვითარების ფონდის სამტრედიის ორგანიზაციაში დღესდღეობით ხალხმრავლობა არ შეიმჩნევა. ამას ჩვენი რესპონდენტი იმით ხსნის, რომ ჯერ ოფიციალურად ოფისის პრეზენტაციაც კი არ გამართულა, მაისის ბოლოს ოფისის გახსნაზე მაშინ დაგვპატიჟებენ, როცა მას ფონდის ხელმძღვანელი პაატა ბურჭულაძე ეწვევა. "ჩვენ ხალხს უნდა მივაწოდოთ ინფორმაცია, ბევრი ადამიანი მოდის და მოგვმართავს ფონდში გაწევრიანების თხოვნით, მგონია, მოსახლეობა ჩვენს მიზნებს გაიგებს". _ აცხადებს ბატონი ლევანი.

"_ გარკვეული ნაწილი საზოგადოებისა გაურკვევლობაშია, ამ ახალ გუნდს ბევრი ხელისუფლების სატელიტად მიიჩნევს, ზოგიერთი კი, პირიქით, "ნაციონალური მოძრაობის" მხარდამჭერად, რას ეტყოდით დაბნეულ, გაურკვევლობაში მყოფ მოქალაქეებს?

_ არა, არა, არც ერთი პარტიისკენ არ იხრება ჩვენი ფონდი. ამ ადამიანმა იმიტომ დააარსა იგი, რომ ხალხთან ერთად განეხილა ჩვენი ქვეყნის პრობლემები და შეემუშავებინა მათი გადაჭრის გზები და გეგმები, მერე ისინი შეეთავაზებინა ხელისუფლებისთვის. ხელისუფლება კი ამას არ იზიარებს, ამიტომაც გადაწყვიტა ამ ადამიანმა აქ ფონდის შექმნა.

_ პირადად იცნობთ ბატონ პაატას?

შეხვედრა მქონია მასთან, გუშინაც შეეხვდით ვანში. ძალიან ბევრი ხალხი იყო, თაეტრის შენობაში მოეწყო შეხვედრა, დარბაზში დაახლოებით 500 კაცი იჯდა, ასეთი წესიერი და პროფესიონალი ადამიანი ყველას უყვარს.

_ და რაც მთავარია, საზოგადოება არ გრძნობს ხელისუფლებისაგან მუქარას იმის გამო, რომ დაესწრონ მსგავს შეხვედრებს თუ გაწევრიანდნენ თქვენს ფონდში.

_ ჯერ არც ყოფილა მასობრივი შეკრება ჩვენთან, ვანში კი ითქვა, რომ თითქოს ზოგს ეშინია, ერიდება გამოჩენაო".

ლევან ბალანჩივაძეს ჰყავს მეულლე, სოფიო ფახურიძე და შვილები, ნინო და ანი ბალანჩივაძეები.

საქართველოს ინიციატივა ადგილობრივი ბანვითარებისთვის

ნინო ნანიტაშვილი

ცამეტმა ადგილობრივმა არასამთავრობო ორგანიზაციამ საქართველოს ოთხი რეგიონიდან გაიმარჯვა 2016 წლის გაზაფხულზე გამოცხადებულ საგრანტო კონკურსში. თითოეულ მათგანს 50 000-მდე ლარის ოდენობის გრანტი გადაეცა. საგრანტო კონკურსი ჩაატარა გაეროს განვითარების პროგრამამ (UNDP) სამხრეთ კავკასიაში შვეიცარიის თანამშრომლობის ოფისისა (SCO) და ავსტრიის განვითარების სააგენტოს (ADC) ხელშეწყობით.

კონკურსის მიზანია საქართველოს მთავრობის მიერ 2014 წელს მიღებული რეგიონული განვითარების სტრატეგიების, ადგილობრივი სამოქმედო გეგმებისა და მუნიციპალური პრიორიტეტების დოკუმენტების განხორციელების მხარდაჭერა. საგრანტო კონკურსის მეორე ფაზა ამ ზაფხულს ჩატარდება.

კონკურსის პირველ ტურში გამარჯვებულებს შორის იყვნენ გურიის, რაჭა-ლეჩხუმის, ქვემო სვანეთის, სამეგრელო-ზემო სვანეთისა და ქვემო ქართლის არასამთავრობო ორგანიზაციები. მათ მიერ შემოტანილი განაცხადები ეხებოდა ისეთ საკითხებს, როგორიცაა მუნიციპალური მომსახურების გაუმჯობესება, ადგილობრივი ეკონომიკის ხელშემწყობი მცირე პროექტების განხორციელება, საგზაო უსაფრთხოების უზრუნველყოფა და ადგილობრივ განვითარებაში მოქალაქეთა მონაწილეობის მხარდაჭერა, მათ შორის ეროვნული უმცირესობებისა და მოწყვლადი ჯგუფების წარმომადგენლების.

კონკურსის შედეგად შერჩეული ერთ-ერთი პროექტი სამეგრელოს რეგიონის ქალაქებში ხორციელდება. არასამთავრობო ორგანიზაცია "საუნჯე" ადგილობრივ მუნიციპალიტეტებთან თანამშრომლობით ხელს უწყობს ფოთსა და ზუგდიდში მესაკუთრეთა ამხანაგობების დაარსებას. ადგილობრივ მოსახლეთა ამხანაგობებისათვის იურიდიული სტატუსის მინიჭება გაამარტივებს მოსახლეობის საკუთრებაში მყოფი შენობების მოვლას და მუნიციპალიტეტებთან ურთიერთობას.

"ადგილობრივი სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობა რეგიონული თუ მუნიციპალური განვითარების სტრატეგიების შექმნასა და განხორციელებაში უზარმაზარი წინ გადადგმული ნაბიჯია რეალური თვითმმართველობისაკენ. მნიშვნელოვანია, რომ ადგილობრივმა მოსახლეობამ მის მიერ დასახული პრიორიტეტები რეალურად შესრულებული საქმის სახით იხილოს. ადგილობრივი ორგანიზაციები უნდა ჩაერთონ ამ პროცესში არა მხოლოდ დაგეგმვის, არამედ განხორციელების ეტაპზეც და წარმოადგინონ ისეთი პროექტები, რომლებიც მათი რეგიონების, ქალაქებისა თუ სოფლების პრიორიტეტებს დაემთხვა", _ ამბობს თენგიზ შერგელაშვილი, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის მოადგილე.

საქართველოს ექვსი რეგიონის განვითარების სტრატეგიები, სამოქმედო გეგმები და მუნიციპალიტეტის პრიორიტეტების დოკუმენტები ადგილობრივ მოსახლეობასთან კონსულტაციების შედეგად მომზადდა. შესაბამისად, ამ დოკუმენტებში ასახულია კონკრეტული რეგიონებისა თუ მუნიციპალიტეტების გრძელვადიანი და მოკლევადიანი მიზნები და პრიორიტეტები.

გაეროს განვითარების პროგრამა (UNDP) ხელს უწყობდა ამ სტრატეგიული დოკუმენტების შექმნას და აგრძელებს მათი განხორციელების მხარდაჭერას. აღნიშნული პროექტი სამხრეთ კავკასიაში შვეიცარიის თანამშრომლობის ოფისისა (SCO) და ავსტრიის განვითარების სააგენტოს (ADC) დაფინანსებით ხორციელდება. მისი მიზანია, ხელი შეუწყოს დეცენტრალიზაციასა და რეგიონული და ადგილობრივი მმართველობის რეფორმას.

"სტრატეგიული დაგეგმვა და მოქალაქეთა ჩართულობა გადაწყვეტილების მიღების პროცესში მმართველობისა და ბიუჯეტირების დეცენტრალიზების ორი უმნიშვნელოვანესი ელემენტია. ამ მხრივ, ადგილობრივ არასამთავრობო სექტორს საკვანძო როლი ენიჭება. იგი არა მარტო აკავშირებს მოსახლეობასა და ხელისუფლებას, არამედ კონკრეტულ პროექტებსაც ახორციელებს ადგილობრივი საჭიროებების გათვალისწინებით". _ ამბობს ნათია ნაცვლიშვილი, გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) პროგრამული ნაწილის ხელმძღვანელი.

რაჭა-ლეჩხუმსა და ქვემო სვანეთში ერთ-ერთ პრიორიტეტად სკოლამდელი განათლება დასახელდა. გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) კონკურსში მოგებული გრანტით ადგილობრივი არასამთავრობო "ზეკარი" ამბროლაურში სკოლამდელი განათლების განვითარების ცენტრის დაარსებას გეგმავს.

"უკვე შევიმუშავეთ სკოლამდელი განათლების სატრენინგო პროგრამა და დავიწყეთ მასწავლებელთა გადამზადება. ასევე შევიძინეთ და საბავშვო ბაღებს გადავეცით ბავშვების აზროვნების განვითარებაზე ორიენტირებული სათამაშოები". _ ამბობს მანანა ბოჭორიშვილი, ასოციაციის "ზეკარი" თავმჯდომარე.

"სკოლამდელი განათლება იმიტომ ავირჩიეთ, რომ ეს საკითხი ერთ-ერთ რეგიონულ პრიორიოტეტად დასახელდა. განათლების სამინისტრო უკვე მუშაობს ბაგა-ბაღებისათვის განკუთვნილ სასწავლო კურიკულუმზე და ამ პროცესში მონაწილეობა გვსურდა". _ აღნიშნა ბოჭორიშვილმა.

UNDP-ის პროექტის მენეჯერის, მარიკა შიოშვილის აზრით, ადგილობრივ თვითმმართველობაში ასეთი "დადებითი რეაქციის ჯაჭვი" საქართველოსათვის სიახლეა. პროექტის როლს იგი სწორედ ამ ჯაჭვის გამყარებაში ხედავს.

"ყველა არასამთავრობო ორგანიზაციას მინდა მოვუწოდო გადახედონ მათი რეგიონების განვითარების სტრატეგიებსა და რეგიონულ თუ მუნიციპალურ დოკუმენტებში ასახულ პრიორიტეტებს და საგრანტო განაცხადები ამაზე დაყრდნობით შეიმუშავონ. იმედი მაქვს, რომ კონკურსის მეორე ფაზის მსვლელობაში გავეცნობით ბევრ არაჩვეულებრივ წინადადებას, რომელიც ადგილობრივი მოსახლეობის ცხოვრების გაუმჯობესებას მოემსახურება". _ აღნიშნა მარიკა შიოშვილმა.

საგრანტო კონკურსის მეორე ფაზა 2016 წლის აპრილში გამოცხადდა. წლის ბოლომდე არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ შემოტანილი განაცხადების საფუძველზე განხორციელდება არა ერთი ადგილობრივი პროექტი, რომელთა მეშვეობითაც მოსახლეობა შესძლებს თავისი წვლილი შეიტანოს ადგილობრივი ვითარების გაუმჯობესებაში და რეგიონული და ადგილობრივი მმართველობის რეფორმის განხორციელებაში.

ქალი _ მსოფლიოს აღმფრთოვანებელი

“დღეს შენს ვარსკვლავს ცა დაჰყურებს კრიალა,
სიყვარულის წყარო მოჰქრის რაკრაკით,
შენ ჭადრაკის დედოფალი კი არა,
შენ მეფე ხარ დღეს მსოფლიო ჭადრაკის!”

ჯანსულ ჩარკვიანი

ისე ახსოვდათ ყველგან, როგორც ჩვენს ქალაქში, უბრალოდ, სხვებზე ადრე მივულოცეთ.

ალბათ, იცოდა ქალბატონმა ნათელა გელეიშვილმა (თავად სახელგანთქმული მოჭადრაკის, სოფიკო ტერელაძის, დედამ) სპორტსმენს, მით უფრო, მანდილოსანს, რამდენად გაახარებდა დედაქალაქში რაიონიდან მიწვდენილი ხმა, საგაზეთო წერილში უშუალოდ, ხელოვნური ემოციის გარეშე გამოხატული სიყვარული, პატივისცემა.

ეს რა კარგი რამ დაუწერიათო! _ ‘‘სამტრედიის მაცნემ’’ კიდევ ერთხელ ათქმევინა მკითხველს, და არა მარტო მას, სტატიის ადრესატსაც კი _ მსოფლიოს ხუთგზის ჩემპიონ ნონა გაფრინდაშვილს.

სამყაროს აღმფრთოვანებელი ქალი 75 წლის გახდა.

ჭადრაკის სასახლესთან აკიაფდა მისი სახელობის ვარსკვლავი.

რჩეულთა ხვედრი აღიარებით განებივრებულს სპორტის საპატიო რაინდის მედალი გადასცეს.

საზეიმო ღონისძიებათა ცქერისას გონებაში ანაზდად ის იუმორისტული ლექსი ამოტივტივდა, ცნობილ მოქანდაკეს, ზურაბ წერეთელს, რომ უძღვნეს თანამედროვეებმა:

‘‘გაქვს პრემია-ჯილდოთა
და ტიტულთა პარადი,
ეს პლანეტა შენია,
სხვა პლანეტებს არა ვთვლით.
_ ძმაო, ზურაბ, სადამდის?
უკვდავების კარამდის?!’’

ქალბატონო ნონა, თუკი არსებობს ზღვარი (‘‘უკვდავების კარამდის’’), იცოდეთ, ჯერ შორია იქამდე!

მთავარი საჭადრაკო (და არა მარტო) სვლა წინაა!

ბელა ჯაჯანა

... მომავალი თქვენია

“სიჭაბუკეში შელეწე ციხე, შეები ჩქერებს,
თორემ მოხუცმა რომც იმარჯვო, ვინ დაგიჯერებს”.
დადესტნური ფოლკლორიდან

ჩვენი საუბარი მოულოდნელად შედგა. ერთ ჩვეულებრივ დღეს, მამას, საკრებულოს ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის კომისიის თავმჯდომარეს, ბატონ გოგი ლეჟავას სტუმრობდა, გავესაუბრეთ, მოგვეწონა მისი სხარტი აზროვნება და...

მიხეილ ლეჟავა ჩემს ოცდახუთწლიან ჟურნალისტურ პრაქტიკაში ყველაზე ახალგაზრდა რესპოდენტია, დიდი ჯიხაიშის № 1 საჯარო სკოლის მე-9 კლასის მოსწავლე ჯერ მხოლოდ 15 წლისაა. უყვარს თანატოლები, პედაგოგები.

საქართველოს ისტორია მისი საყვარელი საგანია.

მიუხედავად იმისა, რომ სკოლის დამთავრებამდე ჯერ კიდევ დიდი დრო აქვს იურისტ სამართალმცოდნეობაზე ოცნებობს, უმაღლესი განათლების მიღება გერმანიაში სურს, მერე კი, მერე საზღვარგარეთ მიღებული ცოდნა ჩემს ქვეყანას მინდა მოვახმაროო, _ განაცხადა ჩვენთან საუბარში და დასძინა რომ ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში სურს დასაქმდეს, რათა მისი წვლილი შეიტანოს ხალხთა უფლებების კიდევ მეტად დაცვის საქმეში.

პოეზიის, ზოგადად, ქართული მწერლობის, წიგნის კულტი სუფევს ჩვენი რესპოდენტის ოჯახში, მამა-გიორგი ლეჟავა ცნობილია პოეზიისადმი საუცხოო სიყვარულით, დედა _ მანანა ჭელიშვილი პედაგოგია და რასაკვირველია, მათი შვილი წიგნებს რომ ეთაყვანებოდეს.

არც კი დაფიქრებულა ისე გვიპასუხა, ეს-ესაა დავამთავრე დავით ტურაშვილის ‘‘ტყეების მეფის’’ წაკითხვაო. სასიამოვნოა, რომ კიბერთაობის ერთ-ერთმა წარმომადგენელმა თანატოლებს ასე მიმართა _ ‘‘წაიკითხეთ წიგნები, უკეთესად იქნებით’’-ო და დასძინა მომწონს ‘‘ბიბლუსის’’ ეს სლოგანიო.

მოსწონს ქართული ცეკვები, ‘‘ჩაკრულოსა’’ და ჯგუფი ‘‘ბანის’’ მოსმენა კი განუზომელ სიამოვნებას ჰგვრის.

უყვარს ერთ-ერთი ყველაზე ვაჟკაცური სპორტის _ რაგბის ყურება და ამაყობს ქართველ რაგბისტთა დამსახურებული წარმატებებით.

მიხეილ (მიშიკო) ლეჟავა მართლმადიდებელი ქრისტიანია, დეკანოზი მატათაა მისი მოძღვარი, ჩემი ნათლია კობა მანჯგალაძეა, ჩვენ ნათელ-მირონობის ყველა წესსა და ტრადიციას შეძლებისდაგვარად ვიცავთ-ო, _ გვეუბნება იგი.

მიხეილ ლეჟავა იმ სოფლის მკვიდრია, სადაც წმინდა მიტროპოლიტი ნაზარი დაიბადა, სადაც დიდი ნიკო ნიკოლაძე და ლეგენდარული პოლიკო მიქაძე მოღვაწეობდნენ.

შეკითხვაზე, რამდენად უყვარს საოჯახო მეურნეობაში საქმიანობა და რა პრობლემები აწუხებთ დიდჯიხაიშლებს ამ ეტაპზე, იგი გვპასუხობს: საძოვრების დიდი ნაწილი სოფელს არ ეკუთვნის, კერძო პირმა შეისყიდა, მოსახლეობას კი არსებობისთვის ესაჭიროება, რომ შემეძლოს გამოვისყიდიდი და ისევ დიდ ჯიხაიშელთა საკუთრებაში დავაბრუნებდი საძოვრებსო.

რაც შეეხება სასოფლო-სამეურნეო საქმიანობით მის დაინტერესებას: შარშან ‘‘ჩემს’’ ნაკვეთზე კარტოფილის კარგი მოსავალი მივიღეო რესპონდენტმა და გვირჩია, თუ ამ კულტურის მოყვანას გადაწყვეტთ, უმჯობესია, ფხვიერ-ქვიშიან მიწაში ჩარგეთ ბოლქვები, რათა მოსავალმა გასიამოვნოთ.

‘‘სამტრედიის მაცნე’’ და გოგი ლეჟავა იმ დროიდან მეგობრობენ, გაზეთს ‘‘წინსვლა’’ რომ ერქვა, ამდენად, 85 წლის ‘‘სამტრედიის მაცნეს’’ ლეჟავების ოჯახში ‘‘სტუმრის’’ სტატუსი დიდი ხანია არა აქვს. რა თემები წამოვწიოთ წინა პლანზე, რაზე ვწეროთ უფრო მეტად, რომელი რუბრიკა მოგწონს-თქო, ვკითხეთ რესპონდენტს და...

_ გითხრათ სიმართლე? კარგი იქნება საგანმანათლებლო თემებზე თუ უფრო მეტი, პოლიტიკაზე კი ნაკლებად დაიწერება. რაც შეეხება მოწონებას, შოთა პაპავას კარიკატურები და მათზე მინაწერი ავტორისეული ნაზრევი მომწონსო ალალად და გულუბრყვილოთ, თუმცა, ეჭვშეუვლად და დამაჯერებლად გვიპასუხა ნორჩმა რესპონდენტმა.

ასაკის სიმცირის მიუხედავად, უკვე შეუსწავლია დავით მეფის _ აღმაშენებლის ეპოქის საქართველოს ისტორია, ამიტომაც მიიჩნევს დავით IV-ს ყველაზე დიდ პოლიტიკოსად, ამიტომ შენატრის დავითისდროინდელ, აღორძინებულ, ერთიან ძლიერ საქართველოს, ისეთს მისმა თაობამ რომ უნდა აშენოს.

წარმატებებს ვუსურვებთ მიხეილ ლეჟავას სწავლაში, შორს არაა ის დრო, როცა მისი ოცნებები რეალური იქნება და მაშინ უფრო ვრცლად და ამომწურავად, დაწერს საუკუნის ტოლი ჩვენი გაზეთი უკვე ახალგაზრდა სპეციალისტის წარმატებებზე.

მანამ კი ბეჯითი სწავლა და უფლის წყალობა გვისაგზლებია მიხეილისათვის!

ლევან გაბეჩავა

“მნიშვნელოვანი საქმის ლირსეული მსახური”

ნათია ნაცვლიშვილი

“49 წლიანი მუშაობის სტაჟი მაქვს. 37 წელია, რაც ამ ბიბლიოთეკის გამგე ვარ, არ მახსოვს შემთხვევა, ეროვნული ბიბლიოთეკის დირექტორი თავადვე გვწვეოდეს წიგნებით.’’ _ გვეუბნება ქალბატონი ნანა გოგიშვილი, № 1 საქალაქო ბიბლიოთეკის გამგე. სულ ახლახან, გიორგი კეკელიძემ ამ ბიბლიოთეკას საჩუქრად 200 წიგნი გადასცა, მწერლისა და ეროვნული ბიბლიოთეკის დირექტორის სტუმრობა სამტრედიელი მოსწავლეების თხოვნაზე მისი მეყვსეული რეაგირებით აიხსნება.

“ეს საქალაქო ბიბლიოთეკა 1955 წელს დაარსდა, პირადად მე აქ 1979 წელს დავინიშნე გამგედ. შესანიშნავი ქალბატონი, თამარ კორკოტაძე შევცვალე. თავიდან ბიბლიოთეკა კულტურისა და დასვენების პარკის ტერიტორიაზე მდებარეობდა, 1980 წელს კი ყოფილი გამარჯვების (ამჯერად ლაშა თევზაძის) ქუჩაზე დაიდო ბინა, საცხოვრებელი ბინის პირველ სართულზე. ჩვენი წიგნადი ფონდი 28 000-ია. თქვენი მონა-მორჩილი და ბიბლიოთეკარები ნინო შანიძე და ეკატერინე ტიტარენკო ვემსახურებით ჩვენს მრავალრიცხოვან მკითხველს, ყველა ჟანრის წიგნი გვაქვს, ახალი გამოცემებითაც გვამდიდრებს მუნიციპალიტეტის ცენტრალური ბიბლიოთეკა. გამოწერილი გვაქვს 10 დასახელების ჟურნალ-გაზეთი. ძალიან დიდ მხარდაჭერას ვგრძნობთ ქალბატონი ლამარა დუნდუასაგან. სულ ახლახან, ჩვენმა მკითხველმა, ნინო ნადირაძემ, რომელიც მე-11 საჯარო სკოლის მე-8 კლასში სწავლობს, თანაკლასელების სახელით ‘‘ფეისბუკით’’ თხოვნა გაუგზავნა საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკის დირექტორს, ნიჭიერ და გულისხმიერ ახალგაზრდას, გიორგი კეკელიძეს. ბავშვები თანამედროვე მწერლების და მათ შორის, მის წიგნებსაც სთხოვდნენ, რომლებიც ბესტსელერებად იქცნენ. თხოვნის გაგზავნიდან 2 თვეში სრულიად მოულოდნელად შაბათ



დღეს, გვესტუმრნენ გიორგი კეკელიძე და ბესო ბაჯელიძე. მათ ძალიან მოეწონათ ჩვენი ბიბლიოთეკა, აღფრთოვანებულნი დარჩნენ, როცა ბიბლიოთეკა დათვალიერეს, გადმოგვცეს 200 წიგნი და ბავშვებს დაჰპირდნენ, რომ აუცილებლად ჩამოუტანდნენ კომპიუტერს’’. _ გვეუბნება ქალბატონი ნანა.

შთაბეჭდილებათა წიგნში კი სტუმრებმა ჩანაწერები დატოვეს: ‘‘თქვენ ყველაზე მნიშვნელოვან საქმეს ემსახურებით და რაც მთავარია, ძალიან ღირსეულად. მიგულეთ გვერდით’’. _ წერს გიორგი კეკელიძე.

ბესო ბაჯელიძე: ‘‘წარმატებებს გისურვებთ მთელი გულით, ბევრი მკითხველი გყოლოდეთ და მართალი, კარგი მამულიშვილები აღგეზარდოთ’’.

ჩვენი რესპონდენტი ძალიან წიგნიერი ქალბატონია, დაამთავრა ქუთაისის კულტურულ-საგანმანათლებლო სასწავლებლის საბიბლიოთეკო განყოფილება, შემდეგ _ პუშკინის პედაგოგიური ინსტიტუტის საბიბლიოთეკო განყოფილება’’. იმუშავა ჯერ ჩოხატაურის სასოფლო ბიბლიოთეკის, შემდეგ _ ეწრის სასოფლო ბიბლიოთეკის გამგედ, 1979 წლიდან № 1 საქალაქო ბიბლიოთეკაში მუშაობს.

‘‘წიგნი უდიდესი სულიერი საზრდოა, განსაკუთრებულად მიყვარს აკაკი წერეთელი, კონსტანტინე გამსახურდია, ჭაბუა ამირეჯიბი, ამ მწერლების ნაწარმოებების გმირებს ღირსეულად უმშვენებენ მხარს დავით კლდიაშვილისა და პოლიკარპე კაკაბაძის უკვდავი, კლასიკად ქცეული პერსონაჟები. თანამედროვე ავტორთა ნაწარმოებებიდან დავით ტურაშვილის ‘‘ჯინსების თაობა’’, აკა მორჩილაძის (გიო ახვლედიანის) ‘‘გასეირნება ყარაბაღში’’ და გიორგი კეკელიძის ‘‘გურულ დღიურებს’’ გამოვყოფდი’’. _ გვეუბნება ქალბატონი ნანა.

ქალბატონი ნანა განსაკუთრებულად კმაყოფილია გიორგი კეკელიძის საჯარო ლექციით, რომელიც ჩვენს მუნიციპალიტეტში სულ ახლახან გაიმართა. შეხვედრის შემდეგ ქალბატონმა ნანამ მწერალს წმინდა გიორგის ხატი გადასცა და წარმატებები უსურვა.

ნანა გოგიშვილი გვეუბნება, რომ არცთუ დიდი ხნის წინ № 1 საქალაქო ბიბლიოთეკას საპატიო სტუმრების სტატუსით სტუმრობდნენ მხატვარი ცინარა ტერელაძე და პოეტი მარიკა ბარათაშვილი, ბიბლიოთეკაში შეხვედრა გაუმართეს პოეტ ალექსანდრე შანიძეს და მწერალ გიორგი სანადირაძეს.

ამ ბიბლიოთეკაში ღირსეულად გრძელდება საინტერესო ღონისძიებათა მოწყობის, ღირსეულ სტუმრებთან შეხვედრის ტრადიცია. ბიბლიოთეკამ გმირულად გაუძლო სამოქალაქო ომის წლებს, როცა შენობის სიახლოვეს ჭურვები სცვიოდა, ამ სამკითხველო დარბაზში მკითხველები ისხდნენ, მისი კარი არ დაკეტილა. ამ კულტურულმა კერამ გაუძლო ყველა განსაცდელს, რაც მისმა ქალაქმა გადაიტანა, აიტანა ყველა სიკეთე თუ ბოროტება. სულ ახლახან, ერთ-ერთ ღონისძიებაზე ბიბლიოთეკის აქტიურმა მკითხველმა, პედაგოგმა ნუნუ ლორიამ ნანა გოგიშვილს მადლობა გადაუხადა ბიბლიოთეკის მიმართ უმძიმეს წლებში გამოჩენილი ერთგულებისთვის.

ქალბატონი ნანა ამბობს, რომ დღეს ხელისუფლება დიდ ყურადღებას აქცევს ბიბლიოთეკებს, ამდენად, კიდევ მეტ სიახლეს უნდა ველოდოთ წიგნიერების ამ კერაზე.

“წერე პოეტო, უფრო თამამად შემოუძახე მარადისობას”

ნათია ნაცვლიშვილი

7 მაისი “ცისფერყანწელებმა” პოეზიის დღედ დათქვეს. შემთხვევით არაფერი ხდება. ამ დღეს დაებედათ მწერლებს სამტრედიაში სტუმრობა, სამტრედიას კი, ქართულ სიტყვასთან შეჭიდებულ ადამიანთა უფრო ახლოს გაცნობა. უკვე მეორე წელია, კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო ახორციელებს პროექტს “ცოცხალი წიგნები”. 14 აპრილს გასულ წელს შიდა ქართლიდან აიდგა ფეხი ამ საინტერესო პროექტმა, რომლის “ნათლიაც” კულტურის მინისტრის მრჩეველი, მწერალ ნოდარ დუმბაძის ქალიშვილი, ქეთი დუმბაძეა.

90 ქართველ მწერალს საშუალება ეძლევა, უფრო ახლო კონტაქტი ჰქონდეთ საკუთარ ხალხთან, რეგიონებში, ქალაქებსა და სოფლებში, ისინი თავიანთი ნაწარმოებებიდან ნაწყვეტებს კითხულობენ და იმ ადამიანებს, ვინც თანამედროვე ლიტერატურულ ტენდენციებს, ნებით თუ ობიექტურ მიზეზთა გამო, დაშორდნენ უდავოდ ელით სიურპრიზი, რადგან ავტორივე გააცნობს მათ ლიტერატურულ ტექსტებს.

მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილე ლიზა კრავეიშვილი და კულტურის, განათლების, სპორტის, ძეგლთა დაცვისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის ხელმძღვანელი ნატალია მანჯგალაძე იმ დღის მთავარი მასპინძლები იყვნენ. სწორედ მათ შეარჩიეს სკოლა, სადაც შეხვედრა უნდა გამართულიყო. გასულ წელს მწერლებს მუნიციპალიტეტის ბიბლიოთეკამ უმასპინძლა. ბიბლიოთეკის თანამშრომლებიც მრავლად იყვნენ მე-3 საჯარო სკოლის დარბაზში. აუდიტორიას ძირითადად პედაგოგები და მოსწავლეები წარმოადგენდნენ. სკოლის დარბაზი ლიტერატურულ სალონს წაგავდა, სწორედ ისეთი სალონური სივრცე შეუქმნეს მწერლებს, როგორიც ეკადრებოდათ. 2 საათის განმავლობაში, მწერლებსა და მკითხველ-მსმენელს შორის საოცრად თბილი კონტაქტი დამყარდა.

პროექტის მცირედი წარდგინება პოეტმა მარიამ წიკლაურმა, როგორც პროექტის კოორდინატორმა, გააკეთა და განაცხადა: “ულრძესი მადლობა, რომ ამ უქმე დღეს გამონახეთ საჩვენო დრო, პროექტი “ცოცხალი წიგნები” თანდათან ფართო მასშტაბებს იღებს, კულტურის სამინისტრომ შესაბამის უწყებებთან გააფორმა უწყებათაშორისი მემორანდუმი, რის მიხედვითაც 2 კვირაში ერთხელ მწერალთა 10 კაციანი ჯგუფი ვხვდებით ჯარისკაცებს, სამხედრო აკადემიის სტუდენტებს, პროექტის მასშტაბები დედაქალაქშიც გაიზარდა. მარჯანიშვილის თეატრალური სარდაფის სცენაზე ერთი ავტორი წარმოადგენს მონო-სპექტაკლს საკუთარი შემოქმედების მიხედვით. უკვე ამ ფორმატით მაყურებელმა გაიცნო ია ლიქოკელის, კატო ჯავახიშვილის, ბათუ დანელიას და შოთა იათაშვილის შემოქმედება. ჩვენთან ერთად რეგიონებში მოგზაურობს საგანმანათლებლო კომპანია “ირიათონი”, რომელიც წიგნის მიკრობაზრობას წარმოადგენს.” შეხვედრის ბოლოს დამსწრეთ საშუალება ჰქონდათ, მათთვის სასურველი წიგნები შეღავათიან ფასად შეეძინათ.

პოეტმა ვაჟა ხორნაულმა შესანიშნავი ლექსები წაგვიკითხა, პოეტმა და პროზაიკოსმა, ცირა ყურაშვილმა როგორც პროზაული, ისე პოეტური კრებულებიდან ნაწყვეტები წარმოადგინა. ბევრი ლიტერატურული კონკურსის გამარჯვებულმა, პროზაიკოსმა ბაჩო კვირტიამ თავისი მინიატურა “6 ხიწვი და 1 ისარი” წაგვიკითხა, ინა არჩუაშვილი პროზაული კრებულებიდან ნაწყვეტებით წარსდგა, ირმა ბერიძემ, ნატა ვარადამ და მარიამ წიკლაურმა პოეზიის ულამაზესი სამყაროს ბინადრებად გვაქციეს, ნათია როსტიაშვილი საკუთარი ლექსებით და პროზაული ნაწარმოებებიდან ნაწყვეტით წარსდგა და მსმენელი დიდი ემოციის ტყვეობაში აღმოჩნდა.

შეკრებილთ დიდი მადლობა გადაუხადეს ქალბატონებმა ლიზა კრავეიშვილმა და ნატალია მანჯგალაძემ, კულტურის სამინისტროს ამ პროექტის მიმართ თავიანთი პატივისცემა კვლავ გამოხატეს და დიდი მადლობა გადაუხადეს მწერლებს ამ საინტერესო დღის გამო.

პოეტებმა დარბაზში მსხდომთაც სთხოვეს, საკუთარი შემოქმედება წარმოედგინათ. საკუთარი ლექსებით წარსდგნენ აუდიტორიის წინაშე მე-3 სკოლელები ზურა ახობაძე და ანთისა მეძმარიაშვილი. მწერლებმა მათ გზა დაულოცეს და წარმატებები უსურვეს. არაერთი მადლობა გადაუხადეს სტუმრებმა მე-3 საჯარო სკოლის დირექტორს ვენერა ივანიშვილს საუკეთესო მასპინძლობისთვის და სკოლის ბიბლიოთეკას საჩუქრად გადასცეს “აკაკი წერეთლის პოეზია”, “პატრიარქის ქადაგებანი” და “მესხური ფოლკლორი”. “პოეტურმა ავტობუსმა” ქუთაისში გადაინაცვლა, რათა საინტერესო შეხვედრა ქუთათურებთანაც გაემართათ.

ქიმიური პრეპარატის გარეშე

“ღვთისნიერ წინამძღოლსა ცოდნა ჰქვია”.
<u>ილია ჭავჭავაძე</u>

ხშირია ადამიანების მოწამვლის შემთხვევები ხილით და ბოსტნეულით. მიზეზი სასუქისა და შხამქიმიკატების არასწორი გამოყენებაა. დღის წესრიგში დგას სასუქებისა და შხამქიმიკატების გამოყენებაზე კონტროლის დაწესება რათა ქიმიზაციამ სიკეთესთან ერთად ზიანი არ მიაყენოს გარემოს და ადამიანის ჯანმრთელობას.

უნდა ვიცოდეთ, რომ სასუქების და შხამქიმიკატების გამოყენება წესებისა და ნორმების დაცვით უნდა ვაწარმოოდ.

მცენარეთა ბუგრების წინააღმდეგ ეფექტურია ხის ნაცრის ნახარში. ამისთვის 300 გრამი ნაცარი უნდა გავცრათ, დავასხათ მდუღარე წყალი და ვადუღოთ 20 წუთის განმავლობაში. შემდეგ გავწუროთ და შევავსოთ წყლით 10 ლიტრამდე. ასეთი ნახავი შევასხუროთ მავნებლით დაზიანებულ მცენარეებს.

ტკიპები მცენარეზე შემჩნევისთანავე უნდა მოვსპოთ. მათ წინააღმდეგ უნდა გამოვიყენოთ მდოგვის ნაყენი. ფხვნილი გავხსნათ სამი დღე-ღამის განმავლობაში. ჭურჭელი სადაც ეს სითხეა მოთავსებული, მჭიდროდ უნდა დავხუროთ. ამის შემდეგ ნაყენი გავაზავოდ 20 ლიტრ წყალში და შევასხუროთ ტკიპებით დაზიანებულ მცენარეებს.

აბლაბუდიანი ტკიპების წინააღმდეგ შეიძლება ვიბრძოლოთ ასე: ხახვის 200 გრამ ნაფცქვენს დავასხათ 10 ლიტრი წყალი და დავტოვოთ ასე 15 საათის განმავლობაში. გავწუროთ და შევასხუროთ დაავადებულ მცენარეებს.

წვრილი მუხლუხოს წინააღმდეგ _ 50 გრამი წიწაკის (პილპილის) ნახარში გავხსნათ 10 ლიტრ წყალში და შევასხუროთ მცენარეს.

მეურნე ხალხის რჩევაა, რომ ვენახის რიგებში და ვაზის ძირებში დავთესოთ ოხრახუში, ის კი არ ენებს ვაზს, არამედ იცავს ფილოქსერით დაავადებისაგან.

კარტოფილის მწვანე ღეროები მეტად სასარგებლოა თუ ბაღში ან ბოსტანში გავრცელებულია ბუგრები ან აბლაბუდიანი ტკიპები. 1-2 კილოგრამი კარტოფილის მწვანე ღეროები ოთხი საათის განმავლობაში დავტოვოთ წყალში, მიღებული ნაყენი გავხსნათ 10 ლიტრამდე წყალში და ასეთი ხსნარით დავამუშავოთ მცენარეები მავნებლის წინააღმდეგ. კარტოფილის მწვანე ღეროები შეიძლება გავახმოთ ჩრდილში და საჭიროების მიხედვით გამოვიყენოთ. ასეთ შემთხვევაში 600 ან 800 გრამი გამხმარი ღეროებიდან იმავე წესით მზადდება შესასხურებელი ნაყენი და ხსნარი.

მწვანე აბზინდა სასარგებლო მცენარეა. ყვავილობის დროს აგროვებენ მას და აჭკნობენ. ასეთი მასის ერთ კილოგრამს 15 წუთის განმავლობაში ადუღებენ მცირე რაოდენობის წყალში, გააცივებენ, გაწურავენ და შეავსებენ წყლით 10 ლიტრამდე. ხსნარი ეფექტურია ფოთოლჭამია მუხლუხოების წინააღმდეგ საბრძოლველად.

თამბაქოს ნარჩენები და მტვერი გამოსაყენებელია საბრძოლველად ფოთოლჭამია მუხლუხოების, ბუგრებისა და სხვათა წინააღმდეგ. ამისთვის 400 გრამი თამბაქოს ხმელი ნარჩენი ერთ დღე-ღამის განმავლობაში დავტოვოთ 10 ლიტრ წყალში. შემდეგ ორ საათს ვადუღოთ და გავწუროთ. შესხურების წინ დავუმატოთ იმდენივე წყალი და ნაყენი მზად იქნება ფოთლისჭამია მუხლუხოების, ბუგრების და სხვათა წინააღმდეგ.

ფარსმანდუკი (წყლის ბალახი) მრავალწლიანი მცენარეა სასიამოვნო სუნით. მას აქვს სწორი ღერო და თეთრი მოვარდისფრო ქუდის ფორმის ყვავილი. თუ ყვავილობის დასაწყისშივე მოვკრეფთ და გავაშრობთ ამ შემთხვევაში შეიძლება, რეგულარულად გამოვიყენოთ ბუგრების, ვაშლის ჩრჩილის, ფოთლის მჭამელებისა და სხვათა წინააღმდეგ. ამისათვის საჭიროა, 800 გრამ მშრალ ბალახს დავასხათ მდუღარე წყალი, გავაჩეროთ ნახევარი საათი, შემდეგ დავუმატოთ 10 ლიტრამდე წყალი და გავაჩეროთ ორი დღე-ღამის განმავლობაში.

ანწლის ახალმოკრეფილი ფოთლების და ყვავილების წყლიანი ნაყენი ანადგურებს ბუგრებს, ასევე ეფექტურია მისი გამხმარი ფოთლებისა და ყვავილების წყლიანი ნაყენი.

ანწლის მძაფრი სუნის გამო თაგვი და ვირთხა არ ეკარება ბეღლებს და ნალიებს.

თუ ბაღის ცხვირგრძელებმა (ყვავილჭამია კოკრიჭამია) იჩინა თავი, მაშინ ჯობია, ისინი წინასწარ ხის ქვეშ გაფენილ ცელოფნის საფენზე ჩამოვარხიოთ და მოვსპოდ მექანიკურად, საჭიროა, ეს ღონისძიება ჩავატაროთ ყოველდღიურად დილის და საღამოს საათებში. ამის გარდა შტამბებზე (ღეროებზე) უნდა შემოვაკრათ დამჭერი სარტყლები, რომლებზედ წასმული იქნება მატლის დამჭერი წებო.

ბუგრების და ფოთლის რწყილების წინააღმდეგ ბრძოლის დიდი საშუალებაა თამბაქოს ხსნარით შეწამვლა დაავადებული მცენარისა, რისთვისაც 400 გრამი თამბაქო 10 ლიტრ წყალზე. ასეთი ხსნარი უნდა გავაჩეროთ ორი დღე-ღამემდე, შემდეგ გავწუროთ და დავუმატოთ 40 გრამი სარეცხი საპონი ანდა მომზადდეს ნივრის ხსნარი. 180-200 გრამი 10 ლიტრ წყალზე. ნიორი უნდა დაინაყოს და ისე ჩაიყაროს წყალში. რამდენიმე საათის შემდეგ გაიწუროს და მომზადებული იქნეს ხსნარი გამოსაყენებლად.

არსებობს სვა მრავალი საშუალება, რათა ნაკლებად იქნას ხილის, ბოსტნეულის პლანტაციებსა და ნათესებში შხამქიმიკატები.

ყველას უნდა გვახსოვდეს, რომ სასუქების და შხამქიმიკატების გამოყენება დადგენილი ნორმების ფარგლებში ადიდებს მოსავლიანობას, აუმჯობესებს პროდუქციის ხარისხს, ხოლო მისი გამოყენების წესების უცოდინარობა არ უნსა გახდეს გარემოს გაჭუჭყიანების ადამიანთა და ცხოველთა ჯანმრთელობის გაუარესების მიზეზი.

<u>მუამბალა ბერის კახიანაა</u>

...და ქუდს გიხდის საქართველო, კონსტანტინე ბატონო!

ქართული მწერლობის კლასიკოსს, კონსტანტინე გამსახურდიას თვალსაჩინო ადგილი უჭირავს ერისკაცთა თანავარსკვლავედში.

82 წელი იცოცხლა და წუთით არ უცხოვრია მშვიდად.

სამშობლო, საქართველო მისი გმირული წარსული აწმყო, მომავალი, იყო მისი ფიქრის საგანი, სიხარული და მწუხარება, დარდი და ვარამი.

ფასდაუდებელია წვლილი, სიტყვაჯაზმული ქართული მწერლობის წინაშე რომ მიუძღვის კონსტანტინე გამსახურდიას.

გმირობის, პატრიოტიზმისაკენ მოგვიწოდებენ მწერლის შედევრები.

ხალხის ცხოვრებით, ტკივილითა და სიხარულით იცხოვრა დიდმა ერისკაცმა. ნიშანდობლივია, რომ სწორედ მის ოჯახში დაიბადა და აღიზარდა დამოუკიდებელი საქართველოს პირველი პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია, მამისამებრ გულდამწვარი ჭირისუფალი საქართველოსი.

ქართული მწერლობის კლასიკოსის ნაზრევს ვთავაზობთ მკითხველს, რომელთაც დროის სრბოლასთან ერთად ახლებური დატვირთვა შეიძინეს:

ყოველი დროის ცილისმწამებელს კარგად სცოდნია, რომ ადამიანის უსასტიკესი დასჯა მხოლოდ მაშინ ხდება, როცა მას სწორედ იმაში დასდებენ ბრალს, რის წინააღმდეგაც იბრძვის.

***

ყოველ ციხეს თავისი ხვრელი მოეძებნება.

***

უჭკუონი და უნამუსონი უკეთ ეწყობიან ამ წუთისოფელს.

***

ცილისწამებისაგან უმცირესი ჩრდილი მაინც მიადგება ადამიანს.

***

ცნობილია, რომ მარტო წიგნები, უნივერსიტეტი და თეატრი როდი აყალიბებენ ახალგაზრდა ადამიანს, არამედ უშუალო შესვლა ცხოვრებასთან, რომელიც თავად უდიდესი უნივერსიტეტია.

***

სადაც პიროვნული განცდა და გმირული გრძნობა არ არის, იქ სიტყვა ფუღურაა.

***

უბედურია ის ერი, რომელსაც გასაჭირის ჟამს ერთი კაციც არ აღმოაჩნდება სათაყვანებელი, რომლის სიტყვას მიენდობა და გაჰყვება.

***

ჭეშმარიტად ბედნიერია ერი, ვისაც სიჭარმაგეში არ გადაჰყვება ხელიდან გამოცლილი სიჭაბუკის დარდი.

კლასიკოსი მარად ჩვენი თანამედროვეა.

15 მაისი კონსტანტინე გამსახურდიას დაბადების დღეა!

<u>ლევან გაბეჩავა</u>

“ხეივანიც გული უნდა დასწყდეს...”

შემოქმედებითი ძიება მან სკოლაში სწავლის დროს დაიწყო. პირველი საშუალო სკოლის გუნდის ხელმძღვანელის, ბატონ იაშა ლეჟავას დაუკითხავად შეკრიბა თავისი თანატოლი მე-10, მე-11 კლასელი ვაჟები და დამოუკიდებლად შეასწავლა გუნდში დამუშავებული სიმღერების მესამე ხმა. ამან განაპირობა მათი გუნდში გაერთიანება და ხელმძღვანელის ნდობა _ სასკოლო შემოქმედებითი კოლექტივების დათვალიერების დროს აღნიშნულ სიმღერის გუნდს მე-11 კლასის მოსწავლე მურმან ბერულავა უდირიჟორებდა. სკოლის დამთავრების შემდეგ ბატონ მურმანს საბუთები შეაქვს ფიზკულტურის ინსტიტუტში, რადგან მისი მოწოდება იყო სპორტი, მუსიკა კი _ ჰობი. გადაიფიქრებს და სწავლის გასაგრძელებლად წარმატებით აბარებს მისაღებ გამოცდებს თბილისის ხელოვნების კულტსაგანმანათლებლო სასწავლებლის საგუნდო-სადირიჟორო განყოფილებაზე. მისი წარჩინებით დამთავრების შემდეგ ბრუნდება მშობლიური ქალაქის № 1 საშუალო სკოლაში (დირექტორი დავით გახოკიძე) სიმღერის მასწავლებლად და გუნდის ხელმძღვანელად, დირექტორის მოადგილედ ბავშვთა ესთეტიკური აღზრდის საკითხებში. პარალელურად სწავლას აგრძელებს თბილისის ვ. სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიაში საგუნდო-სადირიჟორო დაუსწრებელ განყოფილებაზე.

მის მიერ მომზადებული სკოლის მომღერალთა გუნდი მეტოქეობას უწევს მისი ყოფილი პედაგოგის მაშინდელი ამიერკავკასიის რკინიგზის № 24-ე სკოლის მოსწავლეთა გუნდის ლოტბარის, რესპუბლიკის დამსახურებული მასწავლებლის, აწ გარდაცვლილი სერგო მუქერიას მიერ მომზადებულ ბავშვთა კაპელას.

ბატონ მურმანს რეპერტუარში შეაქვს რთული ნაწარმოებები. მაგალითად, მიხეილ გლინკას ოპერა “ივანე სუსანინიდან” ფინალური გუნდი “იდიდე”. მასში გამოყენებულია ზარები, კომუნისტური რეჟიმის დროს ეს მიუღებელი იყო და შესრულდა მხოლოდ ფორტეპიანოს თანხლებით.

1961 წლიდან ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის, ვასილ მახარაძის რეკომენდაციით მურმან ბერულავა ჩოხატაურის რაიონში სამუსიკო სკოლის დირექტორად გადაჰყავთ. პარალელურად პიონერთა და მოსწავლეთა სახლისა და № 1 სკოლის ბაზაზე შექმნილ ბავშვთა გაერთიანებულ მომღერალთა გუნდებს ხელმძღვანელობს. იგი სამგზის რესპუბლიკური ფესტივალის ლაურეატი ხდება. რეპერტუარში შედიოდა ისეთი რთული ნაწარმოებები, როგორიცაა შალვა მშველიძის ოპერიდან “ვარდთა და ნეხვთა” ამბავი “ტარიელისა” ქალთა გუნდისათვის. გრიგოლ კოკელაძის სამნაწილიან “გამარჯვების სიმღერა”.

ბატონ მურმანს ავალებენ რაიონის მომღერალთა გუნდის ხელმძღვანელობას და ჩოხატაურის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლის ხელმძღვანელებთან, ხელოვნების დამსახურებულ მოღვაწე ვასილ მახარაძესთან, ქორეოგრაფ ზურაბ ჯიბუტთან ერთად რესპუბლიკური და საკავშირო ფესტივალების ლაურეატიც ხდება.

1974 წელს ბატონ მურმანს იწვევენ მშობლიურ სამტრედიაში რაიონის მომღერალთა გუნდის ხელმძღვანელად. პარალელურად ინიშნება სამტრედიის განათლების მუშაკთა სახლის დირექტორად და ამიერკავკასიის რკინიგზის № 14, ამჟამად ქალაქის № 12 საჯარო სკოლის გუნდის ხელმძღვანელად. განათლების მუშაკთა სახლში მისი მუშაობის პერიოდში 25-მდე შემოქმედებით და ტექნიკურ წრეში 300-მდე მსმენელი იყო გაერთიანებული. მათ შორის უნდა აღნიშნოს მუსიკალური სტუდია, თოჯინების სახალხო თეატრი და მასწავლებელთა 50 კაციანი გუნდი, რომელსაც თვითონ ხელმძღვანელობდა. ქორეოგრაფიული სტუდია, რომლის ბაზაზე შექმნილმა ცეკვის ანსამბლმა (ხელმძღვანელები გურამ სიხარულიძე, რამაზ კაცაძე, მერაბ პაქსაშვილი), ამავე სახლის ვოკალურ ჯგუფთან, მურმან ბერულავას ხელმძღვანელობით, წარმატებით მოიარა მოსკოვის რამდენიმე საკონცერტო დარბაზი. აღნიშნულ სტუდიებს, მხატვრული და ტექნიკური წრეების მუშაობას ბატონ მურმანთან ერთად მისი მოადგილე ქალბატონი ნათელა გოგოტიშვილი განაგებდა და ერთ-ერთ სანიმუშო კულტურის ცენტრად ითვლებოდა რესპუბლიკის განათლების მუშაკთა 9 სახლს შორის. ბატონი მურმანი პარალელურად მუშაობს ქალაქის №1, №2 და №3 საშუალო სკოლებში გუნდის ხელმძღვანელად, რომლებიც არაერთგზის გამხდარან რესპუბლიკური ფესტივალების ლაურეატები.

როგორც ზემოთ აღვნიშნე, ის არ ერიდებოდა რეპერტუარში რთული ნაწარმოებების შეტანას, ჩამოვთვლი ზოგიერთ მათგანს:

ფრანგმენტი ელეონორა ექსანიშვილის საბავშვო ოპერიდან “გასეირნება”.

უკრაინული ხალხური სიმღერა “შჩედრიკ”, გიორგი ცაბაძის “სიმღერა სამშობლოზე”, შოთა მილორავას “ჰიმნი ბუნებას”, იური თავბერიძის საბავშვო ოპერა “გამარჯვების დილა”.

დამუშავებული აქვს ოთხხმიანი გურული ხალხური სიმღერა “ინდიმინდი”. საგალობლები: “შენ ხარ ვენახი” და “მეუფეო”, “იმერული ცხენოსნური”, “იმერული ნადური”, “ჟანური”, შოთა მილორავას “ჩვენ გაზაფხულს ვენაცვალე” და “შინმოუსვლელი, ძმები გახსოვდეთ”, რევაზ ლაღიძის “სიმღერა ტყეებზე”.

მან რკინიგზის სამმართველოს კულტურის ცენტრთან, პიანისტ მარინა ახობაძესთან ერთად ჩამოაყალიბა ბიჭუნების ვოკალური ჯგუფი “სხივი”, რომელმაც რამდენიმე რესპუბლიკურ ღონისძიებაში მიიღო მონაწილეობა და დაიმსახურა უმაღლესი ჯილდო _ პირველი ხარისხის დიპლომები და რამდენიმე გრან-პრი.

სპეციალისტები დაგვერწმუნებიან, რა დიდი წვლილი მიუძღვის დირიჟორის მუშაობაში კონცერტმაისტერს, რომელიც ხსნის ხასიათს, აღწევს ნაწარმოების ფორმისა და შინაარსის სრულყოფილებას. სიამოვნებით გავიხსენებ ზოგიერთ მათგანს: მარინა ლეჟავა, მანონი ზარეკიძე, აწ განსვენებული მანანა კოპალეიშვილი, ლამარა კუპატაშვილი, ციალა ჯანაშვილი, ნანა ნიშნიანიძე, რუსუდან ტყეშელაშვილი. მიუხედავად ამისა, დირიჟორს ბატონ მურმანს პრეტენზია არ აქვს კომპოზიტორობაზე, მაგრამ არ შეიძლება არ შევეხოთ მის მიერ ალიო მირცხულავას ტექსტზე შექმნილ საგუნდო სიმღერას “მზის ქვეყანა”, რომელიც თავსამკაულად ედგმებოდა ყველა აკადემიურ თუ სამთავრობო კონცერტს. შესანიშნავად ჟღერს ლევან ჭუმბურიას ლექსზე შექმნილი ნაწარმოები “სანამ შევივერცხლებით”.

ბავშვებისთვის საყვარელ სიმღერებად იქცა როსტომ ყენიას “ნანა შვილო”, რევაზ ოსეფაშვილის “ახალგაზრდული”, ჩვენი თანამემამულის, საბავშვო მწერლის, გიორგი კაჭახიძის ტექსტზე დაწერილი სიმღერა “საქანელა”. მან დაამუშავა ცეკვისთვის სიმღერა და შესანიშნავად მიუსადაგა პოეტ მურმან ლებანიძის “ხოროუმი”. მისივე არანჟირებით შესრულებული მრავალი საბავშვო საგუნდო ნაწარმოები. მან შეკრიბა, შეადგინა ყველა სიმღერა სამტრედიაზე და ცალკე წიგნად გამოუშვა რაიონის გამგეობის ფინანსური მხარდაჭერით. გამოუშვა სახელმძღვანელო ბროშურა “მუშაობა ბავშვთა ხმებთან”, რომელიც დაეხმარება სიმღერის მასწავლებლებს და დაწყებითი კლასის პედაგოგებს. ბატონი მურმანის შემოქმედება და მოღვაწეობა ჩვენი რაიონის საზოგადოებისა და ინტელიგენციის მუდმივი ყურადღების ცენტრში იყო, მასზედ არაერთი თბილი წერილი წაგვიკითხავს ჩვენი რაიონული გაზეთის ფურცლებზე. საბჭოურ პერიოდში გამოდოდა ჟურნალი “საბჭოთა ხელოვნება”, სადაც ცნობილი მუსიკოსი და ლოტბარი ბატონი ანზორ ერქომაიშვილი ხშირად აღნიშნავდა ბატონი მურმანის მოღვაწეობას.

ბატონი მურმანი თავის თავზე საუბარს ყოველთვის გაურბოდა. იტყოდა ხოლმე: “დადგება დრო და ჟამი, დაეშვება ცხოვრების ფარდა, სხვასაც გული უნდა დასწყდეს შენიანის გარდა”. ასეცაა, ბატონი მურმანის იმიერში გადასახლებამ გული ძალიან ბევრს დასწყვიტა.

ალექსანდრე ლეჟავა

სამშობლოს მუდამ მოაგონდები...

ლევან გაბეჩავა

ჯერ კიდევ მოსწავლეებმა შევიტყვეთ ჩვენი თანამემამულე ერბრაელი პოეტის, **სამუელ მოძღვრიშვილის** შესახებ თავად ნაომარი ჩვენი სკოლის დირექტორის, ბატონი აკაკი ჯამბურიასაგან.

1913 წელს სოფელ კულაშში დაიბადა ბატონი სამუელი, იქვე მიუღია საშუალო განათლება, შემდეგ კი საქართველოს სახელმწიფო უნივერსიტეტი დაამთავრა.

სამშობლოს პირველსავე დაძახილზე ჩაიცვა ჯარისკაცის ფარაჯა და...

სევასტოპოლისათვის ბრძოლებში აქტიურად მონაწილეობდა. ფაშიზმის დამარცხების შემდეგ, 1979 წლამდე, გარდაცვალებამდე ეწეოდა პედაგოგიურ მოღვაწეობას.

სამი პოეტური კრებულის, არაერთი საგულისხმო ლექსის ავტორი იყო. არაა საკვირველი მის შემოქმედებაში ომის თემატიკა, რომ მძლავრობს, თუმცა, არც სამშობლოს, მეგობრობის, კაცთმოყვარეობის გრძნობა და პათოსია უცხო.

პოეტის საუკეთესო ლექსები შეტანილია “ქართული პოეზიის ანთოლოგიაში”. მისი ლექსები ყველა ჭეშმარიტი პოეტის რჩეულს დაამშვენებდა. სამუელ მოძღვრიშვილის შემოქმედება ქართული მწერლობის თავისებური ნაწილია. ჩვენი ქვეყნის თავდადებული შვილის, მართალი და გულწრფელი პოეტის ლექსები კვლავ განაგრძობენ სიცოცხლეს: ვკითხულობთ სამუელ მოძღვრიშვილის ერთ-ერთი კრებულის წინასიტყვაობაში, რომელიც ბატონ გრიგოლ ჯულუხიძეს ეკუთვნის.

თანამემამულე ებრაელი პოეტის რამდენიმე ლექსს ვთავაზობთ მკითხველს, რათა ოდნავ მაინც მოვუხადოთ ხარკი მას იმ დიდი სიყვარულისთვის მთელი სიცოცხლის მანძილზე რომ ავლენდა ქართველების მიმართ:

***

დედა ზის უხმოდ ბუხრის ნაპირას,
დაუძლეველი დარდი აწვალებს,
ხან ფრონტელ შვილთან ფიქრით დაფრინავს,
ხან აკვირდება თავის ნაწნავებს.
ოჰ, დარდმა როგორ გააჭაღარა,
ნაღვლობს, შვილისგან არ ჩანს ბარათი,
ბევრჯერ ქმრის ჩუმად ცრემლი დაღვარა,
ცრემლით დანამა ვაჟის ხალათი.
ფიქრობს: ამ სკამზე იჯდა ვაჟკაცი,
ჩემი იმედი, ჩემი ცხოვრება,
იმისი ხმა და თვალთა კაშკაში
სახლის ფანჯრებსაც ემახსოვრებათ....

***

ასე მგონია, მე არ მოვკვდები,
შუბლზე სიკვდილი არ მაწერია...
რომ მოვხუცდები წელთა მოკრებით,
ეს ჩემთვის ძნელად დასაჯერია.
ეს ქვეყანაა ჩემთვის სამოთხე,
მშვენიერების ნავსაყუდელი,
მე მომავალში ტრფობა ამომხეთქს
და საფლავს აღარ დავუბრუნდები.
მისივე სიტყვებით დავასრულებთ თანამემამულე ებრაელ პოეტზე წერას:
“როგორც გაზაფხულს მაისის, ვარდი,
სამშობლოს მუდამ მოაგონდები!”

მამული შენგელიას გახსენება

10 წელი გავიდა, ჩვენო მამული, რაც მოულოდნელად გაჩერდა შენი გულის ძგერა და ყველანი სასოწარკვეთილებაში ჩაგვაგდო.

ჩვენო მოუშუშებელო ტკივილო, ძმაო მამული, იცოდე, რომ შენ ჩვენი სულის ნაწილი იყავი და შენი უდროოდ წასვლით ისიც ამოგვაცალე.

შენს სახელს დავიწყება არ უწერია, სანამდე ვიცოცხლებთ. შენს საფლავზე ყოველთვის მოვალთ და ცრემლებით მოვიგონებთ იმ დროს, როცა ჩვენს გვერდით იყავი, ძმაო.

“ჩვენი ტკივილი შენსას არა ჰგავს,
თუ ხარ ამ მიწის და ამ ცის შვილი,
თუ ცოცხალი გყავს დედამიშვილი,
იმ სამყაროში უფლის რჩეულო,
ფეხქვეშ გეფინოს ვარდი და ია”.
ნათელში იყოს შენი სული, ჩვენო მამული!

ლელამიქაშვილები ლიჯანებიდან

ხეივნა სიცოცხლის გაგრძელებაა

საქართველოში დამკვიდრებული ეს დიდებული ტრადიცია გვავალებს გავიხსენოთ ისინი, ვინც საქვეყნო საქმეს ერთგულად ემსახურა და წარუშლელი კვალი დატოვა. მათ არასდროს დაჰკლებიათ სიყვარული, პატივისცემა და ღირსება. მაგრამ, როდესაც ისინი ჩვენს გვერდით აღარ არიან, უფრო მკვეთრად წარმოჩინდება ის საუკეთესო თვისებები, რაც ყოველდღიურ შრომასა და ცხოვრებაში ახასიათებდათ.

ვინც მას იცნობდა, ან მასთან რაიმე ურთიერთობა ჰქონდა მუდამ დაამახსოვრდება იგი როგორც გულთბილი და კეთილის მოსურნე პიროვნება, მეგობრებისა და თანამშრომლების ერთგული და პატივისმცემელი, ჭირსა და ლხინში თანამდგომი, კაცური კაცი და სამტრედიის კოლორიტი. იგი მუდამ გამოირჩეოდა თავის პეწიანობით, თავაზიანობით, მაღალი პროფესიონალიზმითა და პრინციპულობით, ამიტომ დაჰყვებოდა მუდამ პატიოსანი და ნიჭიერი ინჟინრის, ერთგული მეგობრის და შესანიშნავი მეოჯახის სახელი და პატივისცემა ბატონ აკაკი წილოსანს. მან ხუთი ათეული წელი რკინიგზის ტრანსპორტზე იმსახურა. რკინიგზის პოლიტექნიკური ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ სადგურ სამტრედიაში ინჟინრად იმუშავა, იქიდან კი დაწინაურებული იქნა რკინიგზის განყოფილებაში მგზავრთა გადაყვანის სამსახურის უფროსად, სადაც სიცოცხლის ბოლომდე მოღვაწეობდა. საკუთარი თავისა და სხვებისადმი მაღალი მომთხოვნელობით გამოირჩეოდა. ის დღე და ღამეს ასწორებდა მგზავრთა სანიმუშო მომსახურებისათვის. საკურორტო ქალაქებისა და რაიონების ტერიტორიაზე არსებული სადგურებისა და ვაგზლების კეთილმოწყობისათვის. ბატონი აკაკის სასახელო შრომაზე მეტყველებს საპატიო რკინიგზელისა და რესპუბლიკის დამსახურებული ინჟინრის წოდება, მრავალი ორდენი და მედალი. დღეს მის სახელს უკვდავყოფენ შვილები და შვილიშვილები.

მასთან ერთად შეუძლებელია, არ მოვიგონოთ უპრეტენზიო, მრავალი პიროვნული ღირსებით შემკული და დაფასებული რკინიგზელები: მიხეილ კოპალეიშვილი, თამაზ გუმბერიძე, ავთანდილ და ბაჩუკი ტორონჯაძეები, გიორგი კიკალიშვილი, ედუარდ ჯანგველაძე, გიორგი ხაჟალია, მელიტონ არველაძე, ზურაბ ტუკვაძე, ვლადიმერ რევიშვილი, ვახტანგ უღრელიძე, ზაურ ხაჟომია, როსტომ თოდუა, ჰამლეტ ნიკოლეიშვილი, ოთარ ასათიანი, უშანგ კახაძე, ვაჟა ბურჯანაძე, ამბროსი კილასონია, მიხეილ ბოჭორიძე, ნიკოლოზ ცხვარაძე, თემურ და ნუგზარ ველიაშვილები, გივი ნოდია, გიორგი რამიშვილი, ბონდო ვაშალომიძე და მრავალი სხვა. მათი შრომა და ღვაწლი სამაგალითო იყო ახალგაზრდებისათვის. მართალია, დრო სწრაფად მიდის, მაგრამ მათი კეთილი შრომის ნაყოფი, ნათელი კვალი დაუვიწყარს ხდის მათ სახელებს.

რევაზ ზაგანავა

გაზეთ “სამტრედიის მაცნეს” რედაქცია თანაუგრძნობს ნინო რამიშვილს დედის
დარეჯან კანდელაკის
გარდაცვალების გამო.

ცოტნე შენგელია _ მსოფლიო ჩემპიონი

უნგრეთის ქალაქ ბუდაპეშტში სამი დღის განმავლობაში მიმდინარეობდა ჩემპიონატი "ბრძოლა წესების გარეშე".

85 წონით კატეგორიაში სამტრედიელი ცოტნე შენგელია მონაწილეობდა, რომელმაც სამი შეხვედრა წარმატებით ჩაატარა. აქედან ორი ნოკაუტით და ერთიც მახრჩობელა ილეთით მოიგო. ამის შემდეგ მან მსოფლიო ჩემპიონობა მოიპოვა, გადაეცა ოქროს მედალი და გამარჯვებულის ქამარი.

ცოტნე შენგელია, რომელიც ამჟამად საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საგანგებო სიტუაციების მართვის დეპარტამენტის სამტრედიის განყოფილების უფროსია, სპორტის ამ სახეობაში 2010 წლიდანაა დაკავებული. მანამდე მისი საბაზისო სპორტის სახეობებია თავისუფალი ჭიდაობა, ბერძნულ-რომაული ჭიდაობა და ჭიდაობა სამბო, სადაც იგი სხვადასხვა წლებში წარმატებით ასპარეზობდა. რესპუბლიკურ და საერთაშორისო ტურნირებში მოპოვებული აქვს საქართველოს ჩემპიონობა და საერთაშორისო ტურნირებში გამარჯვებულის წოდება ჭაბუკებსა და ახალგაზრდებს შორის.

ცოტნე შენგელია შერეულ ორთაბრძოლებში 85 კილოგრამ წონით კატეგორიაში 2012 წლის მსოფლიო თასის გამარჯვებულია, რომელიც თურქეთის ქალაქ ტრაპზონში გაიმართა. შემდეგ იყო 2013 წელი და მსოფლიო პირველობაზე ჩეხეთის ქალაქ პრაღაში მიღებული ვერცხლის მედალი. ცოტნე შენგელია ჭიდაობა "გრეპლინში" 2015 წლის მსოფლიო ჩემპიონატის ბრინჯაოს მედლის მფლობელია. ასპარეზობა იტალიის ქალაქ ვერონაში გაიმართა.

მსოფლიო ჩემპიონობა ცოტნე შენგელიასათვის პირველია და რაც შეეხება მის სპორტულ მომავალს, იგი მიწვეულია ავსტრიის ქალაქ სიდნეიში, სადაც ცოტნე შენგელია უნდა შეხვდეს მსოფლიო ჩემპიონსა და ქამრის მფლობელს ავსტრალიელ ჯონ ლევენს. გამარჯვების შემთხვევაში ჩვენს ფალავანს ქამარი გადაეცემა და მსოფლიო ჩემპიონი პროფესიონალთა შორის წოდებას მიიღებს, რაც ცოტნე შენგელიას გზას გაუხსნის ფინალური შეხვედრისთვის ლას-ვეგასისაკენ.

"სამტრედიის მაცნესთან" კომენტარში ცოტნე შენგელია ამბობს, რომ პროფესიულ არენაზე ეს წარმატება მას ძვირადღირებულ სპორტსმენად აქცევს.

ნინო ნანიტაშვილი

ელენე ჭილაია

ფოტო განწყობისთვის

30 აპრილის ისტორიული გამარჯვება

"სამტრედიამ" საქართველოს ჩემპიონი დაამარცხა. შაბათს, 30 აპრილს სამტრედიაში, ეროსი მანჯგალაძის სახელობის სტადიონზე ეროვნული ჩემპიონატის კალენდარულ მატჩში სამტრედიის "სამტრედიამ" თავისი უპრინციპულესი მეტოქე, მიმდინარე ჩემპიონატის უკვე გამარჯვებული თბილისის "დინამო" ანგარიშით 2 : 1 დაამარცხა.

შეხვედრის დაწყებას წინ მეტოქე გუნდების ფანკლუბების კენწლაობა უსწრებდა. გულშემატკივრით გადაჭედილ სტადიონზეც დაძაბული ატმოსფერო სუფევდა.

მატჩმა მოლოდინი გაამართლა. თამაშის პირველი წუთებიდანვე მეტოქე გუნდებმა იერიშები გაცვალეს. მასპინძლები ბევრად უფრო მწავავედ უტევდნენ და მათ ფორვარდს, ბუდუ ზივზივაძეს ორი ხელსაყრელი საგოლე მომენტიც შეუქმნეს. სამტრედიელ ფეხბურთელს, სამწუხაროდ, ორივე გაუცუდდა. შემდეგ "დინამოელებმაც" გამოიღეს ხელი. მათ გუნდში მოთამაშე სამტრედიელი ჭაბუკის, გიორგი თევზაძის მწავავე ჩაწოდებას ვერც ქვილითაიამ მიუსწრო და ვერც გელაშვილმა.

პირველი ტაიმის შუაწელში "სამტრედიელთა" მრავალსელიანი კომბინაცია გივი იოსელიანის დარტყმით დაგვირგვინდა. 1 : 0 _ ანგარიში სამტრედიელთა სასარგებლოდ გაიხსნა.

მასპინძლებმა გატანილი გოლით მიღებული სიხარული ვერ შეირგეს, რამდენიმე წუთში "დინამოელი" ჭანტურიშვილის დარტყმა სამტრედიელთა კარის ბადეში ისე აღმოჩნდა. გათანაბრდა ანგარიში და პირველი ტაიმიც ორ მხრივ შეტევებში მიილია.

შეხვედრის მეორე ნახევარი სამტრედიელთა აქტიურობით დაიწყო, რომელსაც ლოგიკური შედეგი მოჰყვა: მასპინძელთა გარემარბმა დავით ჯიქიამ ბურთი მოედნის შუაგულში მიიღო, შესანიშნავი მოძრაობით რამდენიმე მეტოქე ჩამოიცილა და მეტოქის საჯარიმო მოედანთან არმისულმა აუღებელი დაურტყა "დინამოელ" გოლკიპერს. 2 : 1 _ "სამტრედია" ისევ დაწინაურდა.

ამის შემდეგ თამაში კიდევ უფრო დაიძაბა, რამაც მატჩზეც გავლენა იქონია. იმატა ფეხბურთელთა, უხეშობამ მსაჯისადმი უკმაყოფილებამ, რომელშიც "დინამოელებმა" აშკარად იძალეს, რაც გამოიხატა კიდეც იმაში, რომ მატჩის არბიტრმა, არსენ ნონიკაშვილმა შეხვედრის მიწურულს ერთი მეორის მიყოლებით სამ "დინამოელ" და ერთ სამტრედიელ ფეხბურთელს დაატოვებინა მოედანი.

ასე დასრულდა სამტრედიაში პრინციპულ მეტოქეთა დაპირისპირება. თბილისის "დინამო" დამარცხების მიუხედავად კვლავ ჩემპიონატის ლიდერია და 4 ტურით ადრე ზეიმობს გამარჯვებას. სამტრედიის საფეხბურთო კლუბმა კი, ამ თამაშით სატურნირო ცხრილში მეორე ადგილი განიმტკიცა და საკუთარ გულშემატკივარს შესანიშნავი წინასაღდგომო განწყობა აჩუქა.

მატჩი დასრულდა, ვნებები დაცხრა, კმაყოფილმა უმრავლესობამ, იგივე სამტრედიელმა გულშემატკივარმა და უკმაყოფილო უმცირესობამ, "დინამოს" გულშემატკივარმა ეროსი მანჯგალაძის სახელობის სტადიონი დატოვა, რომლის ტრიბუნის ერთ სექტორში რამდენიმე დამტვრეული სკამი გამოიკვეთა. როგორც გაირკვა, ეს სექტორი სტუმართა გუნდის გულშემატკივართათვის იყო განკუთვნილი.

30 აპრილის თამაშის ბოლოს კომენტარი ვთხოვეთ გუნდის ერთ-ერთ სტაჟიან გულშემატკივარს, მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრს, ზაზა ადეიშვილს: "მიმდინარე ჩემპიონატში "სამტრედიას" წარმატებული ასპარეზობა ლოგიკური შედეგია ფეხბურთელთა თავდაუზოგავი გარჯისა, სამწვრთნელო კორპუსის ნაყოფიერი მუშაობისა, უშუალოდ მთავარი მწვრთნელის, გია ცეცაძის მაღალი პროფესიონალიზმის, კლუბის მენეჯმენტის გამართული მუშაობის, რაც გამოიხატა კიდეც პრობლემების გარეშე კლუბისათვის უეფას ლიცენზიის მიღებაში, სამტრედიის მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობის ზრუნვისა და ყურადღების და რაც მთავარია, ქართულ საფეხბურთო სინამდვილეში ყველაზე თავდადებული და ერთგული გულშემატკივრის თანადგომის".

ნინო ნანიტაშვილი

ვუოლოცავთ!

ქალბატონ ნატო მანჯგალაძეს, ბატონებს ნოე ივანიაძესა და დავით ბახტაძეს, ვულოცავთ დაბადების დღეს, წარმატებებს ვუსურვებთ პირად ცხოვრებასა და საზოგადოებრივ საქმიანობაში.

ვეტერანთა რაიონული კავშირი

პატივისცემით ვულოცავთ დაბადების დღეს ქალბატონ ნატო მანჯგალაძეს, ბატონებს დავით ბახტაძეს და ნოე ივანიაძეს. ჯანმრთელობას, წარმატებებს და ოჯახურ ბედნიერებას გისურვებთ.

"სამტრედიის მაცნე"

ბატონ სულიკო ლაზარაშვილს!

დაბადების დღეს გილოცავთ, წარმატებებს გისურვებთ პირად ცხოვრებაში, საზოგადოებრივ მოღვაწეობაში.

"სამტრედიის მაცნე"

რედაქციის მისამართი:
სამტრედია, რესპუბლიკის ქ. №6
ტელ: 790 391839

მაცნე სამტრედიის

დირექტორი ბეჭან გოგია
მთავარი რედაქტორი ქეთევან ჭელიძე
გამომშვები რედაქტორი თეა ბაბუნაშვილი
პასუხისმგებელი მდივანი ლევან გაბეჩავა
კომპიუტერული უზრუნველყოფა მაკა პაპავა